

ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო N23, ივნისი, 2013 წელი


საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გალელი აბიტურიენტები დალოცა

ნონა შონია,
გალის რესურსცენტრის უფროსი

გალელი აბიტურიენტების პატრიოტიზმი, სულიერი სიმტკიცე, მხნეობა, „საგამოცდო საბრძოლო შემართება“ საყოველთაოდ ცნობილია. ყოველწლიურად მათ უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ლოცვა-კურთხევა აძლიერებთ. წლეულსაც ასე იყო: 24 ივნისს უწმინდესმა და უნეტარესმა, გამოცდების ეროვნული ცენტრის მეოხებით, საპატრიარქოში გალელი აბიტურიენტების ერთი ნაწილი მიიღო და მათთან და სრულიად საქართველოს აბიტურიენტებთან ერთად

ყველა გალელი, სოხუმელი, ოჩამჩირელი, გაგრელი, გუდაუთელი აბიტურიენტი დალოცა. პატრიარქთან შეხვედრას გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი ალექსანდრე ალაკოვი ესწრებოდნენ. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა ალექსანდრე ალაკოვმა ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე, გამოცდების ეროვნული ცენტრის ყურადღებასა და თანადგომაზე, თანმიმდევრულ თანამშრომლობაზე, ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლე ახალგაზრდების მიღწევებზე ისაუბრა და აბიტურიენტებს წარმატებები უსურვა.

გაბრძანება
მ-2 გვარდუა



აფხაზეთის საქართველოსგან განუყოფლობის დასტურად



ნათო კორსანტია

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა - აფხაზეთი“ დავით ბაძაღუას ფერწერული და გრაფიკული სურათების სერიაა, რომელიც აფხაზეთის ქართულ სულიერ და კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს - ბედიას, ილორს, მოქვი, ბიჭვინთს, დრანდას, გაგრას, ახალ

ლი ათონს და სხვა ტაძრებს უყრის ერთად თავს. მხატვრის მიერ რეალური თუ წარმოსახული ფერებითა და შტრიხებით შექმნილი, სხვადასხვა ეპოქასა და ისტორიულ რეალობაში აგებული ეკლესია-მონასტრები აფხაზეთში ქართული სულიერების ზეობისა და აფხაზეთის საქართველოსგან განუყოფლობის განცდას ქმნის. დიდებული წარსულით სიამაყის გრძნობა და დღევანდელი ურთულესი რეალო-



ბით გამოწვეული წუხილი, როცა ჩვენს გარეშე დარჩენილ ძეგლებს თავდაპირველ იერ-სახეს უცვლიან, აქ ერთმანეთშია არეული და საბოლოოდ, მაინც გვაიმედებს, რომ ამ სალოცავებში დავანებული ღვთის მადლი შეგვეწევა და აფხაზეთში უსათუოდ დავბრუნდებით. აფხაზეთის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის გაცნობისა და გაცნობიერების, მათი

პოპულარიზაციის მიზნით დათო ბაძაღუას ეს ნამუშევრები აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ წლეულს კედლის კალენდრის სახით გამოსცა. შემდეგ ისინი სამების ტაძრის ახალგაზრდულ დარბაზში, კასპის კულტურის სახლში და გორის სასულიერო სასწავლებელში გამოიფინა.

გაბრძანება
მ-9 გვარდუა

ჭონი აფაქიძე:

„ჩვენი მიზანი ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება“

გვ. 4

ვარისკაცი

ქართველი ფილოსოფოსის, პროფესორ ვენო ქვაჩახიას ხსოვნას

გვ. 5

გენო კალანდია:

რუსთაველის პრემიის ლაურეატი და დიდი პასუხისმგებლობა

გვ. 6

მანონ ბუღისკარიასა და რობერტ მუსხის პოეტური კრებული ნარდვანა

გვ. 7-8

ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის თანამშრომლობის ზოგიერთი ასპექტი

გვ. 10

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბაღელი აბიტურიენტები დალოცა

პირველი გვარდიან

როგორც ცნობილია, წლეულს ერთიანი ეროვნული გამოცდები აბიტურიენტთა განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა. საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთვის 42 ათასი ახალგაზრდა იბრძვის. ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების კურსდამთავრებულებიც მათ შორის არიან.

როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი აღნიშნავს, გალელი აბიტურიენტები ყოველთვის კონკურენტუნარიანობით ხასიათდებიან და თანატოლებს ღირსეულ მეტოქეობას უწევენ. მიუხედავად იზოლაციისა, საოკუპაციო თუ სეპარატისტული რეჟიმის ჩარჩოებში მოქცევისა, ისინი პირველივე ეროვნული გამოცდებიდან იბრძვიან წარმატებისთვის, ხარისხიანი განათლებისთვის და საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ხდებიან. 2005 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, ოკუპირებული ზონის 2305 კურსდამთავრებულიდან გამოცდები ჩააბარა 1315-მა, მათგან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა და სოციალური პროგრამის ფარგლებში სასწავლო გრანტით დაფინანსდა 701 სტუდენტი.

წლეულს ეროვნულ გამოცდებს 200-მდე აბიტურიენტი აბარებს.



მათ შორის გალის რაიონის რესურსცენტრმა 150-მდე დაარეგისტრირა, დანარჩენები თვითონ დარეგისტრირდნენ ონლაინ-რეჟიმში (ინფორმაციისთვის: ოკუპირებული ტერიტორიის სკოლებს არა აქვთ ინტერნეტმომსახურება და სათანადო ტექნოლოგიური საშუალებები, ამიტომ აბიტურიენტები ენგურს გამოლმა გადმოდიან და გალის რესურსცენტრის დახმარებით ელექტრონულად რეგისტრირდებიან).

გამოცდების წარმატებით ჩაბარების სამზადისი ოკუპირებულ ტერიტორიაზე სასწავლო წლის დასაწყისიდანვე იწყება. აბიტურიენტთა სავარაუდო კონტინგენტის დადგენა, ინფორმირება, პედაგოგთა გადამზადება, სანიმუშო საგამოცდო ტესტებისა და კრებულების გადაცემა, ეროვნული გამოცდების ცენტრის სპეციალისტებთან შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა ამ სამზადისის მნიშვნელოვანი ნაწილია.

გამოცდების ეროვნული ცენტრი მაია მიმინოშვილის ხელმძღვანელობით განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს გალელი აბიტურიენტებისადმი; გალის რესურსცენტრის დახმარებით ყოველწლიურად მართავს შეხვედრებს ზუგდიდსა და თბილისში და აბიტურიენტებს, მათ მშობლებს, მასწავლებლებს უტარებს კონსულტაციებს, ამომწურავ პასუხებს აძლევს დასმულ კითხვებზე, უფასოდ გადასცემს გამოცდებისათვის მოსამზადებელი ტესტების კრებულებს სავალდებულო და არჩევით საგნებში, პროგრამებს და სხვა.

წლეულს აბიტურიენტების დასახმარებლად, ეროვნული გამოცდების ცენტრმა გალის რესურსცენტრთან ერთად, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, უდიდესი მნიშვნელობის პროექტი განახორციელა: ოკუპირებულ ტერიტორიაზე, გალის რაიონის სკოლებში ჩამოაყალიბა ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი ცენტრები. აქ სამუშაოდ მომზადდა 46 წარმატებული მასწავლებელი და მათ საჭირო პროგრამები და სახელმძღვანელოები გადაეცათ.

ცენტრების მუშაობამ აბიტურიენტებს საშუალება მისცა, ადგილზე ემეცადინათ და აეთვისებინათ საგამოცდო პროგრამები, მასწავლებლებსა და აბიტურიენტების მშობლებს კი ყოფა შეუმსუბუქა. გალის რესურსცენტრმა ამგვარი მხარდა-

ჭერისთვის ოკუპირებული ტერიტორიიდან მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისგან საქართველოს მთავრობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აფხაზეთის მთავრობის, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მისამართით გამოგზავნილი არა ერთი მადლობის წერილი მიიღო.

მოსამზადებელი ცენტრების მუშაობაში მცირე ასაკის მოსწავლეებიც ჩაერთვნენ და გამოცდებისათვის მზადების თადარიგი სამომავლოდ წინასწარ დაიჭირეს. მარტი-ივნისის ჩათვლით ცენტრებმა 500-მდე მოსწავლესთან იმუშავეს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიაში, გეოგრაფიაში, ქიმია-ბიოლოგიაში, უცხო ენებში, მათემატიკაში, სავალდებულო და არჩევით საგნებში.

ოკუპირებული გალის და ოკუპირებული აფხაზეთის სხვა რაიონების აბიტურიენტთა დახმარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმატებულ პროექტს - აბიტურიენტთა ოთხთვიანი უფასო მოსამზადებელი ცენტრის მოქმედებას აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის (ზუგდიდი) ბაზაზე, რომელიც წლებია, სავალდებულო და არჩევით საგნებში ამზადებს ახალგაზრდებს.

აფხაზეთის სახელმწიფო კავალის მასტარკლასები

მაია ჰონია

აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია გურამ ყურაშვილი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მცირე საჩვენებელი პროგრამით წარსდგა. კაპელამ ამ კონცერტით ერთგვარად გააცნო თავი მოწვეულ აუდიტორიას. პროფესიონალი მსმენელისთვის განკუთვნილი რეპერტუარი კაპელამ ჩვეული ოსტატობით შეასრულა. შესრულდა როგორც ხალხური („გუდისა“), ისე ქართველი (გ. ჩლაიძე, ჯ. ბეგლარიშვილი) და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

მანანა ბერიკაშვილის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის განცხადებით: - აფხაზეთის საგუნდო კაპელის კულტურის სამინისტროში მოწვევა, ეს არის მეგობრული ხელის განვდენა ამ შესანიშნავი კოლექტივისთვის. კაპელა წარმატებულია ჩვენი ქვეყნის საზღვრებს



გარეთ. მას არაერთ საერთაშორისო კონკურსში აქვს მიღებული გრანპრი და საპრიზო ადგილი. ჩვენ გვინდა, რომ ეს გუნდი თბილისმა კიდევ უფრო კარგად გაიცნოს. ვფიქრობთ, კაპელა მომავალშიც წარმატებით გააგრძელებს საქმიანობას.

რომა რცხილაძე, მუსიკოსი: - ამ გუნდის წევრები ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანები არიან. ჩემთვის ეს კაპელა არის ყველაზე ღამაზი მისამართი. ჩვენ დიდი ხანია ვმე-

გობრობთ. მე ამაყი ვარ, რომ გვყავს უაღრესად რაფინირებული, მოწესრიგებული და ძალიან თავმოყვარე შემოქმედებითი კოლექტივი. ეს ძალიან დიდი შრომის შედეგია. ნებისმიერ ფესტივალსა თუ კონკურსზე ჩვენ ამ კაპელას სახით ძალიან ძლიერი იარაღი გვაქვს.

კულტურის სამინისტროში წარმატებულ გამოსვლას წინ უძღოდა ასეთივე წარმატებული მასტერკლასი კონსერვატორიის მცირე დარ-

ბაზში, რომელიც თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა. კაპელამ აქაც, უკვე მერამდენედ, წარმატებით „ჩააბარა გამოცდა.“ კონსერვატორიაში გუნდი მსმენელის წინაშე ორიგინალური ფორმით წარსდგა. ეს იყო „კონცერტი-საუბარი“ აუდიტორიასთან. გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი გურამ ყურაშვილი შეეცადა მუსიკალური ნაწარმოების სწავლების პროცესში მსმენელიც ჩაერთო. აუდიტორია ქართული და უცხოური საგუნდო მუსიკის ნიმუშების ახალი და საინტერესო ინტერპრეტაციების შექმნის მოწმე გახდა. ამ შემთხვევაშიც კონცერტი პროფესიონალი მუსიკოსებისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა აუდიტორია გაცილებით ფართო აღმოჩნდა და კონცერტიც მასტერკლასის ფარგლებს გასცდა. შესრულდა გოგი ჩლაიძის, რამაზ ქარუხნიშვილის, ჯემალ ბეგლარიშვილის, ასევე უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

გოგი ჩლაიძე, კომპოზიტორი: - ეს არის ბრწყინვალე კოლექტივი. იგი ჩემს თვალწინ ჩამოყალიბდა. ჩემი ბოლო ნაწარმოები სპეციალურად მათთვის მაქვს დაწერილი. ოქ-

ტომბერში ჩემს საავტორო კონცერტზე მხოლოდ ეს კოლექტივი შეასრულებს ჩემს ნაწარმოებებს.

ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი: - ამ კოლექტივს დიდი ხანია ვიცნობ. ეს არის ბრწყინვალე კაპელა უნიჭიერესი და მაღალი რანგის პროფესიონალის გურამ ყურაშვილის ხელმძღვანელობით. პრიზებს კონკურსებზე ტყუილად არავის აძლევენ. ისინი არაჩვეულებრივი გემოვნებით ასრულებენ ურთულეს ნაწარმოებებს. მაღლობა აფხაზეთის მთავრობას, რომ მათ ხელს უწყობს. სწორედ მათი ხელშეწყობით ამბობს კაპელა თავის სიტყვას, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

კაპელა უკვე წლებია წარმატებით გამოდის მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსზე. მხოლოდ 2012 წელს კაპელამ წარმატებით ჩაატარა საკონცერტო ტურნე ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში. ბარსელონის საერთაშორისო კონკურსზე მოწვევას მიიღო „გარანტიის მფლობელი გახდა. წინ ახალი აღიარებები.

ანა საჭაია -პროექტ „ეტალონის“ გამარჯვებული

მედიპროექტ „ეტალონი“ საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობები აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმაც წარმოაჩინეს. რთული და საინტერესო თამაშის შემდეგ თანაბარ ბრძოლაში პროექტის გამარჯვებული გახდა ანა საჭაია, აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის (ჩხორონყუ) მოსწავლე. გამარჯვებულს გადაეცა სამახსოვრო დიპლომი და დაენიშნა ერთწლიანი სტიპენდია 1200 ლარის ოდენობით.

პროექტში მონაწილეობის მისაღებად შეირჩა აფხაზეთის საჯარო სკოლების 10 საუკეთესო მოსწავლე: გიორგი ლემონჯავა (აფხაზეთის №11



საჯარო სკოლა-ზუგდიდი), მეგი ჯალაღონია (აფხაზეთის №11 საჯარო სკოლა-ზუგდიდი), ანა ადამია (აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა-სენაკი), გიორგი გეგიძე (მრავალპროფილიანი სკოლა „ივერია“), ავთანდილ უჩაძე (აფხაზეთის №6 საჯარო სკოლა-ქუთაისი), ემირ ჯაჭვლიანი (ზემო აფხაზეთი), ანა საჯაია აფხაზეთის №10 საჯარო სკოლა-ჩხორონყუ), მარიამ კვირკვია (საბერძნო), მარიამ მესხია (საბერძნო) და ლექსო ძაძუა (ოტოხია). თამაშის ფინალისტები გახდნენ: რეზო ჯაჭვლიანი (თბილისის საერო გიმნაზია „შავნაბადა“), გიორგი ლემონჯავა (აფხაზეთის №11 საჯარო

სკოლა-ზუგდიდი) და ანა საჯაია (აფხაზეთის №10 საჯარო სკოლა-ჩხორონყუ).

აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებს პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად გულშემატკივრობდნენ: აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გიო გვაზავა, აფხაზეთის მინისტრისა და კულტურის მინისტრი ალექსანდრე ალაკოვი, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი დავით დარახველიძე.

„ვამრავლოთ მამულები სიტყვა ქართული“

დედა ენის დღეს მიეძღვნა

ნატო კოსანძიძე

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, კინოცენტრ „აფხაზეთთან“ ერთად, დედა ენის დღეს, 2006 წლიდან მოყოლებული, მამულების აზერბაიჯანული სკოლის მოსწავლეებთან ერთად აღნიშნავს ხან მამხუტში, ხან ზუგდიდში, ხან ვარიაში, ხანაც თბილისში. შეხვედრის ადგილის მონაცვლეობა კი, ბუნებრივია, თავისთავად ამრავლებს მის მონაწილეებსაც. წლეულს ეს დღე ისევ სოფელ მამხუტში აღინიშნა, სტუმრებსაც მამხუტის აზერბაიჯანული სკოლა მასპინძლობდა მეზობელი სოფლის ქვემო არქევანის აზერბაიჯანული სკოლის მონაწილეობით. ამჯერად იქაურობას აფხაზეთის საჯარო სკოლების ქართველ და აფხაზ ბავშვებთან ერთად კახისრაიონის (საინგილო) სკოლებისმოსწავლეებიც სტუმრობდნენ. ისინი ჯერ კიდევ მარშან შემოუერთდნენ ამ პროექტს საზოგადოება „ქურმუხელის“ თაოსნობით. პერელი მოსწავლეებს თან ახლდნენ საზოგადოება „ქურმუხელის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, პერელი პოეტი ზაზა სუყაშვილი დაპედაგოგი-მაყვალა ჯანაშვილი. პროექტის იდეის ავტორი და ორგანიზატორი იყო კინოცენტრი „აფხაზეთი“ (კოორდინატორები: ლილა ბაბაია, ლილა თორია და მედეა ზუზბაია).



მამხუტს ასევე სტუმრობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ალექსანდრე აპლაკოვი. შეხვედრა გახსნა და სტუმრებს ურთიერთობისა დაჩამოძრძანებისთვის მადლობა გადაუხადა მამხუტის აზერბაიჯანული საჯარო სკოლის დირექტორმა გიას ბადალოვმა.

ალექსანდრე აპლაკოვი: - მნიშვნელოვანი და ლამაზი დღეა. ჩვენი სამინისტრო ასრულებს დედა ენის დღისადმი მიძღვნილ კვირეულს, რომელიც 14 აპრილს სომხური სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით დაიწყო. ეს ურთიერთობა „სასკოლო პარტნიორობის პროგრამის“ სახით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, 2007 წელსდავიწყეთ. მის საფუძველზე სხვადასხვა ეროვნების ბავშვები ეუფლებიან ქართულ ენას, რაც უფრო მეტად აახლოვებს მათ.მასხოვს მამხუტის სკოლის მოსწავლეების სტუმრობა ზუგდიდში. როცა ჩვენ ისინი ენგურის ხიდან მივიყვანეთდა ბავშვებმა შლაგაუმებით ორად გაყოფილი ქვეყანა იხილეს, ერთ აზერბაიჯანულ ბავშვს თვალზე ცრემლები მოადგა. მაშინ გაჩნდა ქართველი და აზერბაიჯანელი ბავშვების უფრო მეტად დაახლოების იდეა. ამავე პერიოდს დაემთხვა სახელმწიფოპოლიტიკის ეთნიკურუმცირესობებშიქართულიენისცოდნისხარისხისამაღლება დაწყება. შესაბამისად, მამხუტის აზერბაიჯანულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მოავლინეს თემურ შამაბერიძე. ის უკვე რამდენიმე წელია, რაც ამ სკოლაში ქართულ ენას ასწავლის. აღსანიშნავია, რომ გვერდითა სოფელ ქვემო არქევანის აზერბაიჯანულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია მისი მეუღლენათია გოგიაშვილი.მადლობა მათ, რომამ სოფლებში წინა წლებთან შედარებით ბევრად უკეთ იციან ქართული ენა. ხოლო თუ რატომ არის საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენლისთვის აუცილებელი ქართული ენის ცოდნა, ამის დასტურია ილიას სიტყვები: „ქართული ენა არის დედაბოძი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა“. ენის ცოდნით ბავშვები ერთმანეთს, ერთმანეთის კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას და ა. შ. უკეთ ეცნობიან და პატივს სცემენ. მალე დადგება დრო, როცა ენგურის ხიდს ისევ ერთად მიადგებიან ჩვენი ბავშვები, ოღონდ, ამჯერად სიხარულის ცრემლებით.

გია გვაზავა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:

- ბედნიერი ვარ, რომ დღეს აქ ვარ და ვეცნობი, როგორ ცხოვრობთ, როგორ სწავლობთ ქართულ ენას და ჩვენთან ერთად როგორ ზრუნავთ საქართველოს მომავალზე. წინა წლებში საქართველოში მცხოვრებმა არაქართველებმა საერთოდ არ იცოდნენ ქართული ენა. შესაბამისად, მოწყვეტილნი იყვნენ ქვეყნის ცხოვრებას. ენის არცოდნა ურთიერთობებსაც ძალიან აფერხებდა. ახლა ამ მხრივ ვი-



თარება შეიცვლა, გარღვევა მოხდა. ეს ქვეყანა ყველამ ერთად უნდა ავაშენოთ და რატომ უნდა იდგეს ჩვენი შორის სხვა ენა, თუნდაც ინგლისური ენა.

სიმბოლურია, რომ აფხაზეთის საჯარო სკოლებმა დამეკიდრეს ეს ტრადიცია. ჩვენ ენასთან, კულტურასთან დაკავშირებული ყველა საკითხი გამძაფრებული გვაქვს და დიდი მადლობა, რომ თქვენც გვერდით გვიდგხართ. დარწმუნებული ვარ, როცა ქართული ენა ხელმისაწვდომი გახდება ყველა არაქართველისთვის, უფრო გამყარდება ჩვენს შორის ურთიერთობაც.

ძალიან ემოციური და გადამდები იყო პერეთის მკვიდრისპოეტ ზაზა სუყაშვილის (მის ლექსებს ჩვენი გაზეთის მე-8 გვერდზე გთავაზობთ) გამოსვლა, მისი პატრიოტული სოლისკვეთებით აღსავსე ლექსებით მოტანილი განცდა, რომ „პერეთში უბერებელი ქართული სული ტრიალებს“. კახის საშუალო სკოლის პედაგოგმა მაყვალა ჯანაშვილმამადლობა გადაიხადა მონწვევის გამო და ითხოვა, პერელი ბავშვები ხშირად დაპატიჟონ ამგვარ შეხვედრებზე.

შემდეგ ქართული ლექსების კითხვაში ქართველ და პერელ ბავშვებს ტოლს არ უდებდნენ მამხუტისა და ქვემო არქევანის აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეები. აზერბაიჯანელი ბავშვები, წინა წლებთან შედარებით, ბევრად უფრო გამართული ქართულით კითხულობდნენ ლექსებს და ამის გამო სიამაყეს მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთადთავადაც ვერ ფარავდნენ. ქართული ენის დასაცავად დავირაზმით და მერე ეს დღე აფხაზეთში ერთად აღვნიშნოთ, ეს იმ შეხვედრის მთავარი სათქმელი იყო.ბოლოს ლილა ბაბაიამ კალიგრაფიისკონკურსი გამართა და გამარჯვებულები გამოავლინა.

მეორე დღეს, დედაენისკვირეულისფარგლებშივე, აფხაზეთის და საჯაროსკოლების, აფხაზეთისსახელოვნებოსკოლა„აფხაზეთი - 1“-

ის,ბოლნისისადაკახისსაჯაროსკოლებისმოსწავლეებს, მათშორისაფხაზმოზარდებსხელნაწერთაეროვნულმაცენტრმაუმასპინძლა. აქ, საგანგებოდ ამ დღისთვისმოწყობილგამოფენაზე ჩემიდედაენა“ მოსწავლეები გაეცნენ დედაენისპირველქართულდააფხაზურგამოცემებს, იაკობგოგებაშვილის მიმოწერებს და სხვა მასალებს.მოსწავლეებმა აქკონცერტი გამართეს, რომელსაც აფხაზეთისავტონომიურიესპუბლიკისმთავრობისთავმჯდომარისმოვალეობის შემსრულებელიგახტანგყოლბაია,აფხაზეთისგანათლებისადაკულტურისმინისტრიალექსანდრეაპლაკოვიდა ხელნაწერთაეროვნულიცენტრისხელმძღვანელი ბუბა კუდავა დაესწრნენ.

ბუბა კუდავა: დიდი სიყვარულით ვმასპინძლობთ ქართველ, აფხაზ, პერელ და აზერბაიჯანულ მოზარდებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მოწყობილ გამოფენაზე „ჩემი დედაენა“. ვფიქრობ, ბავშვებისთვის მეტად საჭირო და საინტერესო იქნება აქ გამოფენილი, „დედაენის“ შექმნასთან დაკავშირებული მასალების გაცნობა. გამოფენა საინტერესოა იმიტომაც, რომ ეს მასალები დიდი იაკობის არქივიდანაა.

ვახტანგ ყოლბაია: ქართული ენის დღისადმი მიძღვნილმაკვირეულმა საინტერესოდ ჩაიარა. დიდ მადლობას ვუხდით აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, ასევე პროექტის ორგანიზატორებს. ნიშანდობლივი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სხვადასხვა ეროვნების მოზარდთა სტუმრობა. ისინი გაეცნენ მათთვის ახალ სამყაროს, იმ საგანძურს, რომელიც ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში დიდი რუდუნებით უგროვებია. ეურჩევ მათ, ხშირად ეზიარონ დიდი სიყვარულითა და მოწინებით დატულ განძს. ამასთანავე, მადლობას ვუხდით ბატონ ბუბას უდიდესი ქართული სულიერი საგანძურის მოვლისა და გაფრთხილებისათვის.

დასასრულ მოსწავლეებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

„ჩრდილების თეატრი“ სოფელ მამხუტში

აფხაზეთისგანათლებისადაკულტურისსამინისტროსა და მამხუტის აზერბაიჯანული სკოლის მეგობრობა თანდათან ღრმავდება და ახალ შინაარსს იძენს.სამინისტროს ინიციატივით და კინოცენტრ აფხაზეთის ორგანიზებით, ჩრდილებისსახელმწიფო თეატრმა ბუდრუგანა-გაგრამ ბოლნისის რაიონის სოფელ მამხუტში საქველმოქმედო სპექტაკლი „წელიწადის ოთხი დრო“ გამართა.

წარმოდგენას, მამხუტის სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ქვემო არქევანის და სხვა ახლომდებარე საჯარო სკოლების 200-მდე მოსწავლე დაესწრო. მოზარდები აღტაცებას ვერ ფარავდნენ ნანახის გამო. ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართულენოვან ახალგაზრდებში ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციას.

ილია ჭავჭავაძის მუზეუმში

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, სსიპ კინოცენტრმა აფხაზეთმა და აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირმა მომავლის ხმა თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში დედაენის დღისადმი მიძღვნილი სასწავლო-საგანმანათლებლო შემოქმედებითი საღამო „ღმერთების ენა“, „ქართული და საფიქარო მამული“ მოაწყო. საღამოში მონაწილეობდნენ: აფხაზეთის №2 და №3 და თბილისის №104 საჯარო სკოლების მოსწავლეები. კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები.

დევნილ ბავშვებს „მოზილური ბიბლიოთეკა“ ეწვია

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მხარდაჭერით, გლდანში, კომპაქტურ ჩასახლებაში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ ავშებს „მოზილური ბიბლიოთეკა“ ეწვია. ბიბლიოთეკა 600-ზე მეტი დასახელების წიგნს ითვლის და წლის განმავლობაში რეგიონებშიც იმოგზაურებს. პროექტის მიზანი დევნილ მოზარდებში წიგნის კითხვის, სამოქალაქო განათლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო პროცესისადმი ინტერესის გაღვივებაა.

დევნილ ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ ძვირადღირებულ წიგნებსა და უახლეს გამოცემებს გაცნობოდნენ. ამავე დროს 50-მდე მოზარდს მხატვარმა დავით ბაძაღუამ ხატვის მასტერ-კლასები ჩაუტარა. პარალელურად ორგანიზაციამ „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ საგზაო უსაფრთხოების წესების პრეზენტაცია გამართა. დღის ბოლოს ბავშვები ერთმანეთს სპორტულ გარბენში შეეჯიბრნენ. გამარჯვებულებს სამახსოვრო სიგელები გადაეცათ.

რამდენიმე დღის შემდეგ „მოზილურმა ბიბლიოთეკამ“ ვაშლიჯვარში მდებარე კომპაქტურ ჩასახლებაში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებიც მოინახულა და მათაც ასევე სამახსოვრა თავი.



აფხაზეთის მოზარდთა ნამუშევრების გამოფენა

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, სსიპ კინოცენტრმა „აფხაზეთმა“ და აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირმა „მომავლის ხმა“, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა-პრეზენტაცია მოაწყო.

ლონისძიება საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ, ეროვნული მოძრაობის ლიდერის-მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში გაიშარა და მასში მონაწილეობდნენ აფხაზეთის სახელოვნო სკოლების შემოქმედებითი კოლექტივები და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

ამ ისტორიულ დღეს, ახალგაზრდა თაობას შესაძლებლობა ჰქონდა კიდევ ერთხელ გაეღრმავებინა ცოდნა საქართველოს ისტორიულ წარსულზე და გაცნობოდა გმირი მამულიშვილების ცხოვრებას.

ჯონი აფაქიძე:

„რვენი მიზანი ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება“

მაია ჰონია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ჯონი აფაქიძე უნივერსიტეტის რექტორად მეორე ვადით აირჩია. აკადემიური საბჭოს ეს გადაწყვეტილება მის ოთხნობიან წარმატებულ საქმიანობასა და იმ სამომავლო გეგმებს უკავშირდება, რომლის განხორციელებასაც უახლოეს მომავალში აპირებს. განვლილ გზასა და სამომავლო გეგმებზე ჩვენს კითხვებს ჯონი აფაქიძე თავად უპასუხებს.

- ბატონო ჯონი, სულ ახლახან მეორედ აგირჩიეს სოხუმის უნივერსიტეტის რექტორად. რამ განაპირობა აკადემიური საბჭოს ეს არჩევანი და რა პასუხისმგებლობას გაკისრებთ ეს გადაწყვეტილება?

- მაღლობელი ვარ, რომ აკადემიურმა საბჭომ მეორედ გამოიცხადა ნდობა. არჩევნებს წინასაარჩევნო პერიოდი უძლოდა. შემუშავებული და წარდგენილი მქონდა პროგრამა, რომელსაც ეწოდება უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა (2013-2017 წლები)“. პროგრამაში შევეცადე მეჩვენებინა, თუ რა გაკეთდა უნივერსიტეტში ჩემი რექტორობის პერიოდში, რა თქმა უნდა, კოლეგების თანადგომით. ოთხი წლის წინათ, როდესაც უნივერსიტეტში მოვედი, ხუთი ფაკულტეტი იყო, ამჟამად შვიდი ფაკულტეტია. მიმაჩნია, რომ სწავლის ხარისხის ასამაღლებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ფაკულტეტების დამოუკიდებლობა. ჩემი სარექტორო პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი სწორედ ეს არის. ფაკულტეტი უნივერსიტეტის მთავარი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრია. ამდენად, დაგეგმილი გვაქვს, ფაკულტეტებს არა მხოლოდ სასწავლო და სამეცნიერო, არამედ ფინანსური დამოუკიდებლობაც მივანიჭოთ. მათ თავად უნდა გადაწყვიტონ კადრების დანიშნულების, პრემიებისა და ბიუჯეტთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ფაკულტეტმა დამოუკიდებლად უნდა დაგეგმოს სამეცნიერო კონფერენციები და საერთაშორისო სიმპოზიუმები. უახლოეს მომავალში შევქმნით კომისიას, რომელიც ამ თემაზე იმუშავებს.

ჩემს ახალ პროგრამაში თითოეული ფაკულტეტის ნიშაც განსაზღვრულია. ეს აუცილებელია უნივერსიტეტებს შორის დღეს არსებული კონკურენციის პირობებში, როდესაც ბევრი უნივერსიტეტის გადარჩენის საკითხი დგას. 1932 წელს, როდესაც ეს უმაღლესი სასწავლებელი სოხუმში დაარსდა, ერქვა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს ამარაგებდა მაღალკვალიფიციური პედაგოგებით. ჩემი რექტორობის მეორე ვადის ერთ-ერთი მიზანი მაღალკვალიფიციური პედაგოგების მომზადებაცაა. აბიტურიენტმა, რომელიც ჩვენთან ჩააბარებს, უნდა იცოდეს, რომ მომზადდება არა მხოლოდ კარგ ისტორიკოსად ან მათემატიკოსად, არამედ კარგ პედაგოგადაც. ამით ჩვენ ამ უნივერსიტეტს თავის თავდაპირველ ნიშას დაუზღურნებთ. დაგეგმილი გვაქვს სათანადო დამატებითი (minor) პროგრამების შემუშავება შესაბამისი ფაკულტეტებისთვის.

- კონკურენცია მართლაც ძალიან დიდია, შესაბამისად, უმაღ-



ლესი სასწავლებლებისთვის აკრედიტაციის მოსაპოვებლად ნაყენებული მოთხოვნებიც მკაცრია, თუმცა სოხუმის უნივერსიტეტს ბოლო წლებში მათი დაკმაყოფილება არ გასჭირვებია.

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჩემი რექტორობის პირველ წელს აღიდგინა დაკარგული აკრედიტაცია და მიიღო ლიცენზია, შემდეგ მეორედ ასევე წარმატებულად გაიარა ავტორიზაცია და მიიღო ინსტიტუციური აკრედიტაცია, უნივერსიტეტის ორი კორპუსი გახდა მისი საკუთრება და ა.შ. ადმინისტრაციული შენობა, ჯიქიას 9 უნივერსიტეტს ადრეც ეკუთვნოდა, მაგრამ იურიდიულად ჩვენ გავაფორმეთ. ხოლო ჯიქიას 12-ში ადრე იჯარას ვიხდიდით, ახლა ის ჩვენი საკუთრებაა.

ჩემი პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია ალუმნის (ყოფილი კურსდამთავრებულების კლუბის) შექმნა. უნივერსიტეტს ჰყავს ბევრი წარმატებული კურსდამთავრებული არა მხოლოდ საჯარო სამსახურებში, არამედ კერძო სექტორშიც. შევეცდებით, ეს ადამიანები მშობლიური უნივერსიტეტისკენ შემოვაბრუნოთ და მეგობართა კლუბში გავანევრიანოთ. კლუბში განვევრიანება უნდა იყოს ძალიან პრესტიჟული და საპატიო. ასევე ვგეგმავთ სტუდენტური ცხოვრების კიდევ უფრო გააქტიურებასა და მისთვის მაქსიმალურ ხელშეწყობას.

- ამაში, ალბათ, იგულისხმება ის ღონისძიებები, რომლებიც სასწავლო პროგრამის გარდა დაიგეგმება?

- დიას, ჩვენ ვგეგმავთ საზაფხულო სტუდენტური პროგრამების განხორციელებას, ექსკურსიების მოწყობას, სპორტული ცხოვრების გააქტიურებას. პატრიარქის კურთხევით ჩვენთან ბოლო დრომდე წარმატებით ფუნქციონირებდა ხრიდოლის (ძველი საბრძოლო ხელოვნება) ჯგუფი.

- როგორც ვიცით, ორიოდ თვის წინათ სოხუმის უნივერსიტეტს პატრიარქი სტუმრობდა და მან განსაკუთრებული ჯილდო გადმოგცათ.

- 2013 წლის 26 აპრილს ჩვენს უნივერსიტეტს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ეწვია. სოხუმის უნივერსიტეტი არის ერთადერთი უნივერსიტეტი, რომელიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი, წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოვდა (დაჯილდოვება მოხდა 2009 წლის მაისში). Pჩვენთვის უდიდესი პატივია, რომ პატრიარქის ბოლო სტუმრობის დროს გვქონდა შესაძლებლობა, მისთვის სოხუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიგვენიჭებინა. მეორე ვიზიტისას მისმა უწმინდესობამ მოგვცა ასეთი დავალება - სოხუმის უნივერსიტეტი თბილისის გამწვანების ინიციატორი და ხელმძღვანელი გახდეს. უახლოეს ხანებში გამოვყოფთ ორი ასოცირე-

ბული პროფესორის ადგილს ეკოლოგიის მიმართულებით. ამავე დროს, გავაფორმებთ ხელშეკრულებას სანერგე მეურნეობასთან და ვეცდებით, ვიდრე სოხუმში დავბრუნდებით, თბილისის გამწვანებაში ჩავებათ.

- რა სიახლეები იგეგმება უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში?

- ჩემი რექტორობის პირველ პერიოდში სამეცნიერო ნაშრომების ათი კრებული გამოვიდა. გვინდა კიდევ უფრო აქტიურები ვიყოთ. ჩვენს მეცნიერებს აქვთ იმის პოტენციალი, რომ საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში უფრო ინტეგრირებულნი იყვნენ. ამას ხელს უწყობს რაც შეიძლება მეტი ნაშრომის გამოქვეყნება იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში. ასევე უნდა გამოქვეყნდეს მონოგრაფიები უცხო ენებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამის გამოცდილება ჩვენ უკვე გვაქვს. ჩვენი მიზანია, რომ ყველა სპეციალობას თანაბარი ყურადღება ექცეოდეს. გვინდა ცალკე ალენიშნოთ, რომ ჩვენ შევქმენით აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი, რომელსაც პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე ხელმძღვანელობს. ძალიან ბევრ საქმეს აკეთებს ეს ინსტიტუტი. აქ მუშაობენ ქართულ-აფხაზურ ლექსიკონზე, ქართველ კლასიკოსებს თარგმნიან აფხაზურ ენაზე. ჩვენი მიზანია, ამ ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქართულ-აფხაზურ დიალოგში. ამ საქმეში ჩვენი უნივერსიტეტიც აქტიურად უნდა ჩაებას. ამდენად, წინ ძალიან საინტერესო ოთხი წელი გველის. დარწმუნებული ვარ, ამ პერიოდში სოხუმის უნივერსიტეტის რეიტინგი კიდევ უფრო ამაღლდება. მით უმეტეს, რომ მას უკვე აქვს თავისი ღირსეული ადგილი ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში. მას იცნობენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ვმონაწილეობთ ევროკავშირის პროექტებში. უკვე მეორედ გავიმარჯვეთ ტემპუსის“ პროექტში, ვმონაწილეობთ ერაზმუს მუნდუსის“ პროგრამაში და საერთაშორისო ფორუმებში, ვატარებთ შიდა და საერთაშორისო კონფერენციებს. მომავალში კიდევ უფრო მეტად ვაპირებთ გააქტიურებას.

- რამდენად წარმატებით ხორციელდება სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები?

- ამ მიმართულებით არაერთ უნივერსიტეტთან ვთანამშრომლობთ. ჩვენი იურიდიული და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტმა ახლახანს დაამთავრეს ბრიუსელში მაგისტრატურა, ადრე სტუდენტები გავაგზავნეთ რონდინეს ციტადელში (იტალია), ამჟამად ერასმუს მუნდუსის პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის ერთი სტუდენტი მიემგზავრება მაღმოს (შვედეთი) უნივერსიტეტში. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობენ ასევე გერმანიის სასწავლო აკადემიური გაცვლების სამსახურის კონკურსებში და სხვ. მემორანდუმები გვაქვს გაფორმებული თურქეთის, ლატვიის, ლიტვის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან. ამ მუშაობას გაღრმავება სჭირდება. შესაბამისად, მიღწეულით არ ვკმაყოფილებით. ჩვენი მიზანია, სოხუმის უნივერსიტეტი ევროპულ სტანდარტებს მიახლოვდეს. ამისთვის კი საჭიროა დაუღალავი შრომა.

„ტრადიციათმცოდნეობა როგორც ქართველოლოგიის შემადგენელი ნაწილი“, ასე ჰქვია კრებულს, რომელშიც მისი წინასიტყვაობის თანახმად, გაანალიზებულია ტრადიციების არსი, მათი ბუნება და თავისებურებანი... განხილულია ისეთი პრობლემები, როგორიც არის ერი, ეროვნული კულტურა და გლობალიზაცია ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სივრცეში და ა.შ.

წიგნი ეძღვნება ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, პროფესორ ვენორ ქვაჩახიას სსოვნას, რომლის სახელსაც უკავშირდება ტრადიციათმცოდნეობის, როგორც ქართველოლოგიის დარგის, ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების მცდელობა. ის იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებითი სოციოლოგიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი. აღსანიშნავია, რომ სოციოლოგიის ლაბორატორია იყო ერთადერთი იმ დროისთვის საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ვენორ ქვაჩახია იყო სოციოლოგიის, როგორც დარგის დამფუძნებელი საქართველოში. სხვადასხვა დროს მის გამოსვლებს საერთაშორისო კონგრესებზე - საფრანგეთში, ბულგარეთსა და შვედეთში მალალი შეფასება მიეცა და ამ გამოსვლებმა მას როგორც მეცნიერს, საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. მან პირველმა შემოიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციების სოციოლოგიის კურსი. მის სახელს უკავშირდება შესაბამისი კვლევა-ძიება ჩვენი ქვეყნის მასშტაბით. კრებული თავს უყრის ფილოსოფოსების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, ეთნოგრაფების, ისტორიკოსების და ა.შ. წერილებს ამ დარგში.

ვენორ ქვაჩახია იყო მთელ სამურზაყანოში ცნობილი და ჭკუის საკითხავი კაცის მიხეილ ქვაჩახიას ერთ-ერთი ვაჟი. მიხეილ ქვაჩახიას ჰყავდა ოთხი ვაჟიშვილი, ოთხივეივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული: იროდიონი - ეკონომისტი, ვენორი - ფილოსოფოსი და სოციოლოგი, ნიკოლოზი - იურისტი და ვანო - ფიზიკოსი. ოთხივე მათგანმა საკუთარ საქმიანობაში წარუშლელი კვალი გააწვლო.

გთავაზობთ წიგნის ერთ-ერთი რედაქტორის პროფესორ რუსუდან ნიქვაძის წერილს, ვენორ ქვაჩახიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ერისკაცი

რუსუდან ნიქვაძე

„მალალი, მდიდარი სულის ინდივიდუალობა, განსაკუთრებით კი დიდი გონება ნიშნავს უბედნიერეს ხვედრს დედამიწაზე“.

არტურ შოპენჰაუერი

ბედნიერია ერი, რომელსაც ზეგარდმო ნიჭით მომადლებული ადამიანი ჰყავს, მაგრამ არანაკლებ ბედნიერია ის ადამიანი, რომლისთვისაც ბუნებრივ ნიჭიერებასა და ეროვნულ წინომავლობას გზა გაუკვდავებს, ცხოვრების სარბიელზე გამოუყვანია და საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრებია. ეს სიტყვები ეხება ფილოსოფოსს, მრავალმხრივ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ვენორ ქვაჩახიას, ჩვენი თაობის დიდ მასწავლებელს, რომლის შესახებ საუბარი ძალზე ძნელია არა იმიტომ, რომ სათქმელია ცოტა, პირიქით, ძალზე ბევრია და გიჭირს სათქმელად არსებითის შერჩევა. ეს ძნელია იმიტომაც, რომ საქმე გვაქვს არა ჩვეულებრივ, არამედ არაჩვეულებრივ, არაორდინალურ პიროვნებასთან, არა მხოლოდ ნიჭიერ, არამედ უნიჭიერეს მეცნიერთან, არა მხოლოდ პატივით მოქალაქესთან, არამედ ქართველი ერის გამორჩეულ მამულიშვილთან.

ვენორ ქვაჩახიას მოღვაწეობა იმ საზოგადოებასა და პოლიტიკურ სივრცეში მოუხდა, როდესაც თავისუფალი აზრი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდა და კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზით განისაზღვრებოდა. მნიშვნელობა არ ქონდა, პიროვნებისათვის მისაღები იქნებოდა თუ არა ის რეჟიმი. ამიტომ ყველა საბჭოთა ადამიანი უნდა მორგებოდა არსებულ სისტემას. თუკი სულის ამბოხს გამოავლენდი, ეს ნიშნავდა სამშობლოს დაღატაკს. ამის შედეგი ბევრჯერ საკუთარ თავზე განუცდია ვენორ ქვაჩახიას, რომლისთვისაც ეს ყველაფერი „არ ახალ იყო“. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც ახერხებდა თავისი ნააზრევის საზოგადოებასთან მიტანას. მისგან ბევრჯერ მოგვისმენია დიდი ფილოსოფოსის ა. შოპენჰაუერის სიტყვები: „ჭკვიანურ აზრებს აზრი აქვს მხოლოდ ჭკვიან საზოგადოებაში, ჩვეულებრივ, მას საზოგადოება ვერ იტანს, რომ მოვენონოთ ასეთ საზოგადოებას, უნდა ვიყოთ უხამსნი და შეზღუდულნი... რადგან იგი გვაერთებს ისეთ ადამიანებთან, რომელთა უფრაფერსობა ზნეობრივად გაფუჭებულია და ზნეობრივად დამახინჯებული... ფლობდე იმდენს შენსავე თავში, რომ არ საჭიროებდე მათ, ეს უკვე იმიტომაცაა ბედნიერება, რომ ყველა ჩვენი ტანჯვის წყაროა საზოგადოება, ხოლო სულიერი სიმშვიდე ჯანმრთელობასთან ერთად შეადგენს ჩვენი ბედნიერების არსებით ელემენტს“.

ვენორი, როგორც ფილოსოფოსი, სხვაზე უკეთ ხედავდა საზოგადოების სატიკივარს, თუმც კი არ ხედავდა მხოლოდ, არამედ მისი განკუთრების გზას მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის განმავლობაში ეძებდა. ბუნებით მშფოთვარესა და ბობოქარს, საკუთარი ოჯახური პირადი ბედნიერების არმქონეს, მთავარ საზრუნავად სამშობლოსა და ქართული გენის გადარჩენა ქონდა ზმანებად. ამიტომაც ჩქარობდა, უნდოდა ყველა ის ჩარაზული კარი გაეღო, რომელიც ხელს უშლიდა ეროვნული ფასეულობები ზოგადსაკაცობრიო ხარისხში აეყვანა. საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარდა, თუმც თავისი წონა და ფასი ყველაზე უკეთ

უნყოდა. ქარაგმულად კი ყოველთვის გვაგრძნობინებდა თავის პიროვნულ სიდიადეს. ის ხშირად იგონებდა ქართული პოეზიის ორი გიგანტი პოეტის გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი (გოგლა) ლეონიძის დილის შესვენდრებს მწერალთა კავშირში მისვლამდე.

გალაკტიონი (ესალმება გოგლას):

- გამარჯობა, ვეფხვო!

- გაგიმარჯოს, გალაკტიონ!

მეორე და მესამე დღესაც იგივე განმეორდა.

მეოთხე დღეს დიდმა გალაკტიონმა გააჩერა ბატონი გიორგი ლეონიძე და უთხრა:

- გოგლა, მოსალმებისას მე რომ გეტყვი, გამარჯობა, ვეფხვო! შენ უნდა მიპასუხო, გაგიმარჯოს, ლომო!

მეხუთე დღეს, დილით ისევ შესვდნენ და ბატონმა გიორგიმ დაასწრო მეგობარს:

- გამარჯობა, ლომო!

- გაგიმარჯოს, გოგლა! - მიაძახა გალაკტიონმა და გაიარა. გგიორგი ლეონიძე განცვიფრებული დარჩენილა, რომ პასუხად „ვეფხვო“ ველარ გაიგონა. ბატონი ვენორი დიდი კმაყოფილებით ამბობდა, რომ გალაკტიონისათვის მთავარი იყო, სწორედ გიორგი ლეონიძეს მისი „ლომობა“ ეღიარებინა პოეზიაში, თორემ თვითონ მშვენიერად იცოდა, რა ეპითეტს იმსახურებდა დიდი გიორგი ლეონიძე.

ამ პატარა ეპიზოდით ბატონი ვენორი მიგვანიშნებდა, რომ ჩვენს წინაშე იდგა „ლომი“. მართალია, მის პიროვნებას ოფიციალური რეგალიები არ აკლდა, მაგრამ კოლეგებს მაინც უჭირდათ მისი „ლომობის“ აღიარება. ამის მიზეზად ზოგიერთმა შესაძლოა ის დაასახელოს, რომ ვენორს არ დაუტოვებია თავისი ნააზრევის სქელტანინი ტომები; ან მისი საკმაოდ რთული ხასიათი. ამას პასუხი ისევ ფილოსოფიიდან უნდა გავცეს. არც სოკრატეს ხელით ნაწერი შემორჩენილა რამე, მაგრამ მისი ნააზრევი დღემდე სიბრძნით კვიბავს კაცობრობას. მავენი იტყვის, ის დიდი საბერძნეთის ღირსეული წარმომადგენელი იყოო, ვენორი კი მცირერიცხოვანი ერის შვილიო. აი, სწორედ ამ მცირე ეროვნული ჩარჩოების გარღვევას ისახავდა მიზნად ვენორ ქვაჩახია.

ბატონი ვენორი არ იყო მხოლოდ წიგნით მეცნიერი, ის ჭეშმარიტად სახალხო მოღვაწე იყო, მიიჩნევდა რა, რომ სწორედ ფილოსოფოსებმა უნდა აჩვენონ საზოგადოებას მაგალითი საქიროების, ძნელბედობის ჟამს სირთულეებიდან თანადგომით ღირსეულად გამოყვანისა. ამ აზრის ნათელსაყოფად მოვიხმობთ ვრცელ ამონაწერს მისი დღემდე გამოუქვეყნებელი ერთი ხელნაწერიდან, თუ როგორ ხედავდა ის დღევანდელ საზოგადოებაში (კერძოდ კი, საქართველოში) ფილოსოფოსის დანიშნულებას: „... თანამედროვე ვითარება მყარ ნიადაგს უქმნის ადამიანის გაუცხოებასა და სხვათა გამოეგზისტენციალური ყაიდის ფილოსოფოსობას. ეს თითქოს სულაც არ არის ცუდი (ადამიანის პრობლემით დაინტერესება, ადამიანის ბედზე ზრუნვა) და სანუწუნო. ამ ნუწუნსაც შეიძლება, გამოწახოდა სათანადო საფუძველი - სეცე არ იქნება ცუდი, მაგრამ აქ არის ერთი ყველაზე მთავარი საზრუნავი და, თუ გნებავთ, სანუწუნოც - რა არის ეს ზოგადად არსებული ადამიანი და მისი გაუცხოება?! ასეთ ნიადაგზე ფილოსოფოსობა, ადამიანის ბედზე მოჭირნახულე მოაზროვნეთა ნაღვანი არ იძლევა სასურველ შედეგს. ფილოსოფოსობა, რომელიც თანამედროვე მდგომარეობის გააზრებას, მის კონკრეტულ შესწავლას არ ემყარება - ფუჭია!.. ჩვენთვის ამჟამად მთავარია იმის აღნიშვნა, რომ ჩვენს პირობებში ამ ყაიდის ფილოსო-



ფოსობა უპირატესად არის სხვათა ნათქვამის კარგი ან, უარეს შემთხვევაში, ცუდი გადმოძღერება. ხშირად ეს საქმეში ჩაუხედავთა მოსატყუებელი უფროა, ვინემ ადამიანის პრობლემის კვლევის ვიწრო ბილიკების ძიება. არც თუ ისე იშვიათ შემთხვევებში კი ეს ხდება არაკეთილსინდისიერთა სალაყბო მიკერძოებით ვინმეს სადიდებლად, ან ვინმეს მტრული განზრახვით გასაჭორად...

საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, თანამედროვე პირობებში ადამიანის მდგომარეობის ერთი განუყოფელი ნაწილია და იგი მოითხოვს არა აბსტრაქტულ, არამედ ნამდვილ ფილოსოფოსობას ფილოსოფიურ-ეთიკურ-ფსიქოლოგიურ-ეთნოგრაფიულ-იურიდიულ ინტერდისციპლინარულ კავშირებს...“.

ვენორ ქვაჩახიასათვის უცხო იყო მხოლოდ ერთ სფეროში მოღვაწეობა, ან მხოლოდ თეორიული აზროვნებით შემოფარგვლა. ის შესანიშნავად უხამებდა ერთმანეთს თეორიასა და პრაქტიკას. მისი მოღვაწეობაც საოცრად მრავალნაწიანოვანია - ფილოსოფიისა თუ ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა თუ საზოგადოების მართვისა და დაგეგმვის, პიროვნების გაუცხოებისა თუ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, თეიკისა თუ რელიგიის, ეკოლოგიის, სთეუტიკისა თუ ლოგიკის, ისტორიისა თუ ეთნოგრაფიის, ლიტერატურისა თუ თარგმანის ხელოვნების, კინოსა თუ თეატრის, ტრადიციათმცოდნეობის, ეროვნული სპორტის განვითარების და სხვა მრავალი დარგის სფეროში, რომელთა შესახებაც პროფესორ ვენორ ქვაჩახიას არაერთხელ გამოუთქვამს თავისი ავტორიტეტული აზრი. მსოფლიო კონგრესებზე გამოსვლები მისი მეცნიერული მოღვაწეობის საერთაშორისო აღიარების დადასტურება იყო.

ბატონ ვენორის მშფოთვარე ბუნება ვერ ეგუებოდა ერთფეროვნებას. მუდამ ახლის ძიებაში იყო. სიდიდებითან ჭიდილი უყვარდა და ყოველდღიური ცხოვრების წყვილმანებს არაფრად დაგიდევდათ. „გენიალური გონების პატრონი, ჭეშმარიტი ფილოსოფოსი... ყველაფერში ეძებდა სიმართლეს, სინათლეს და გარკვეულობას“. ახალგაზრდების ჭეშმარიტი მეგობარი, მათი სრულყოფილი აღზრდისათვის თავდადებული ყველაფერს აკეთებდა, რათა ახალგაზრდას სწორი გზა აერჩია ცხოვრებაში. ხშირი იყო მისი შესვენდრებიც რესპუბლიკის ახალგაზრდობასთან. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ორჯერ ჩატარდა (ბათუმსა და თბილისში) სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენციები. იუნოლოგიის პრობლემები მისი სიცოცხლის ბოლო წლების მეცნიერული მუშაობის ერთ-ერთ საძიებელ სფეროს წარმოადგენდა. თვით მის მიერვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებული სოციოლოგიის კათედრაც მთლიანად ახალგაზრდული იყო. თანდათანობით გვაზიარებდა მეცნიერულ სიბრძნეს და აუდიტორიის წინაშე თითოეული ჩვენგანის გამოსვლასაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. ზედმეტს არავისგან მოითხოვდა, თვითონ კი შეეძლო ყველაფერი გაეწერა სხვისთვის. სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულმა კარგად იცოდა ამ ქვეყნად ყოფნის ფასი და სიცოცხლის საზრისსაც მხოლოდ არსებობით კი არა, ხალხისა და ქვეყნისათვის გაწეული სამსახურით აფასებდა.

ფასდაუდებელია მისი ღვაწლი საქართველოში სოციოლოგიის დამკვიდრების საქმეში. სწორედ მის სახელთან ასოცირდება მაშინდელ საბჭოთა კავშირში სოციოლოგიის პირველი კათედრის დაარსება, რომლის სათავეებთანაც

იდგნენ ბატონი ვენორის უახლოესი ადამიანები - გივი ლოგუა, დევის ბექვაია, ედუარდ კოდუა, ნათელა დონაძე, გულიკო ჯავაშვილი, ლუიზა სვიმონიშვილი, დოდო წულუკიძე და მრავალი სხვანი. სიცოცხლის ბოლო წუთამდე მის გვერდით იყვნენ მისი უსაყვარლესი მონაფეები: ვახტანგ გოგუაძე, ვალერი კვარაცხელია, გერმანე ფაცაცია, ვაჟა გოროზია, ბონდო ბეგაშვილი, დოდო ყარაულაშვილი, დევის ბექვაია, ნუგზარ კვაჭაძე, რუსუდან ნიქვაძე, ნუნუ ბერიძე, ლუიზა სვიმონიშვილი, ჟანა მიხაილოვა, ლია მურღულია, მარინა ბურძენიძე, მარინა მახარაძე, ია ნაკაიძე, თამუნა ლალიძე, ნოდარ გორგაძე; უახლოესი მეგობრები: ლონდა მდივანი, სვეტა ხოფერია, ოთარ გაბიძაშვილი, მაგალი თოდუა, მურმან ლებანიძე, გურამ აბსანძე, მურმან ტურავა, მურმან დოდელია და მრავალი და მრავალი სხვა, რომელთა გარეშეც ვენორს ალბათ ცხოვრება ვერც წარმოედგინა.

ბატონი ვენორის პიროვნების გაგება შეუძლებელია ქვაჩახიების დიდი და ტრადიციული ოჯახის გარეშე. ეს იყო ჭეშმარიტად ქართული ოჯახი, სადაც უფროს-უმცროსობის პრინციპი მკაცრად იყო დაცული, მაგრამ არც ისე მოხდებოდა, რომ დაუმსახურებლად უფროსს უმცროსი დაესაჯა, ან უმცროსს უფროსისათვის აუგად სიტყვად შეებრუნებინა. ბატონი ვენორი, ათასობით ახალგაზრდის აღმზრდელი, თვითონ პატარა ბავშვით ისმენდა ხოლმე დედის შეგონებებს. თვალცრემლიანი ხშირად ისხებდა მამასთან ურთიერთობის ეპიზოდებს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისი სახე ქართველი კაცის სახად ჰქონდა წარმოდგენილი. ერთმანეთზე უკეთესი ოთხი ძმის შესვენდრისას ზეიმს იწყებდა პოეტური მუზა, მეცნიერულ აზრთა ჭიდილი, ბავშვობის მოგონებები თუ მომავლის იმედები. ილხენდა ოჯახი და ტკებოდა სული. გარეშე თვალიც კი ადვილად შეამჩნევდა, რომ ოჯახის სიმდიდრე ის ჯანსაღი დამოკიდებულება იყო, რომელიც ასე უხვად იღვრებოდა. მას ოჯახიდან გამოყვა უდიდესი სულიერი სიმდიდრე, კაცთმოყვარეობა და ამ სიმდიდრით გაატარა მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე.

ბატონი ვენორ ქვაჩახია ღირსეულად ემსახურებოდა ქართული მეცნიერების განვითარებას. ამ მეტად რთულ, მაგრამ საპატიო საქმიანობაში ვაგლახად არასოდეს წაუფორხილებია; არც წარმატებისათვის მიუღწევია იოლად და სხვისი სიმართლის დასაცავადაც ბევრი უსიამოვნება შესვენდრია. დიდი მასწავლებლების ღირსეულ მოწაფეს თავისი კორიფეები ჰყავდა: ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე.

ფილოსოფოსი კაცი გახლდათ, მაგრამ მისი სტიქია პოეზია იყო. ის ეტრფოდა რუსთაველის გენიას, ბარათაშვილსა და ბუმბერაზ ვაჟს, დიდ ილიასა და აკაკის; გალაკტიონი მისი უკანასკნელი ზმანება იყო, ხოლო „ვეფხისტყაოსანზე“ ფიქრი იმქვეყნად წაიყოლა. სამწუხაროდ, თვითონ ველარ მოესწრო თავისი ყველაზე ძვირფასი ნაშრომების გამოქვეყნებას.

ის ნაყიდა ამ ქვეყნიდან მარადიულ სასუფეველში დიდი სიყვარულით გარემოსილი და თან წაიყოლა ცრემლის მდინარე.

ის დააკლდა ქართულ მეცნიერებას.

ის დააკლდა ქართულ უნივერსიტეტს.

„მან პატიოსნად და კეთილსინდისიერად აღასრულა თავისი ადამიანური დანიშნულება“. უეჭველად მას, მცირეთაგან ერთ-ერთს ქართულ სინამდვილეში, თავისუფლად შეეძლო ეთქვა: „რაც იქნება, იქნება, ინტელექტუალური სინდისი წმინდა მაქვს და მშვიდი“.

გენო კალანდია:

რუსთაველის პრემიის ღაურაათობა დიდი პასუხისმგებლობაა

მაია შონია

რუსთაველის პრემიის მიღებას წინ ხანგრძლივი და რთული გზა უძლოდა. პოეტ გენო კალანდიას შემოქმედება პირველად აფხაზმა კოლეგებმა აღიარეს და დააფასეს. იგი თავის მასწავლებლად აფხაზ პოეტ ივანე თარბას მიიჩნევს. ბატონი გენო წლების განმავლობაში აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივანი, აფხაზეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე და საქართველოს პარლამენტის წევრი იყო. დღემდე აფხაზეთის ავტონომიური რსპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრია. მის ცხოვრებაში იყო პერიოდი, როდესაც შემოქმედებას პოლიტიკამ სძლია და ლექსებს არ წერდა. თუმცა დაგროვილმა სათქმელმა თავისი გზა მაინც იპოვა და დევნილობის პერიოდში რვა პოეტური კრებული გამოსცა: „ცა და ფოთლები“, ალევს იქით“, „მინის ჭრილობა“, „რეკვიემი“, „ისევ რეკვიემი“, „ფესვები“ და სხვ. ახლახან მისი შემოქმედება რუსთაველის პრემიით დაჯილდოვდა.

- რუსთაველის პრემიის ლაურეატობა ქართველი შემოქმედისთვის ყველაზე მაღალი ჯილდოა. რას ნიშნავს ეს პრემია თქვენთვის?

- რა თქმა უნდა, ეს უმაღლესი ჯილდოა. ყველა შემოქმედი ბედნიერია, როდესაც მას იღებს, მაგრამ ჩემთვის ამ ჯილდოს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მე აფხაზეთიდან დევნილი ვარ და მიმაჩნია, რომ ეს ჯილდო მხოლოდ მე არ მეკუთვნის, ის ეკუთვნის ჩემ ხალხს, იმ ადამიანებს, რომლებსაც საფლავები იქ დარჩათ, აფხაზეთის ომის გმირებს, სამშობლოსათვის თავდადებულს ადამიანებს - ჟიული შარტავას, ჯუმბერ ბეთაშვილს, გურამ გაბისკირიას და სხვებს. მათი ტრაგედია, მათი თავგანწირვა მანერინებდა ამ ლექსებს, ძალიან ტრაგიკულსა და სევდიანს. მაღლობელი ვარ იმ სახელმწიფო კომისიის, რომელმაც იმსჯელა ჩემს წიგნზე, რომელსაც ჰქვია „ფესვები“ და გადაწყვიტა ასე შეეფასებინა ჩემი შემოქმედება.

- რა გზა გამოიარეთ და როგორ მოხვედით ამ პრემიამდე?

- ჩემი ცხოვრება გაგრძელებული სევდაა სოხუმზე, გაგრზე, ბედიასა და ბიჭვინთაზე და ამ სევდასა და ტკივილში 20 წელიწადი იწერებოდა ეს წიგნი. დევნილობის პირველ წლებში, ხუთი წლის განმავლობაში, არაფერი დამიწერია. საქართველოს პარლამენტის წევრი გახლდით და საპარლამენტო მუშაობით ვიყავი დაკავებული. მაგრამ ეტყობა ადამიანში ტკივილი გროვდება და მოგვიანებით ისევ დავიწყე ლექსების წერა. ამდენად, წლები მნიფდებოდა ეს ყველაფერი. დევნილობის პერიოდის პირველი წიგნი იყო „რეკვიემი“. რამდენიმე ათეული წიგნის ავტორი ვარ და არაერთი პრემია მიმიღია. მათ შორის არის ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიები, მაგრამ ამ პრემიამ ყველაფერი გააერთიანა და შეაჯამა. რუსთაველის პრემიის მინიჭებით უდიდესი პასუხისმგებლობა დამეკისრა. მე უკვე უფლება არ მაქვს ცუდი ლექსი ვწერო. ასე მგონია, რუსთაველის პრემიის ყველა ლაურეატი ასეა. პასუხისმგებლობის გრძნობა მომენტალურად გაიზარდა. სხვა მხრივ არაფერი შეცვლილა. ისევ ის გენო კალანდია ვარ, რომელიც მანამდე ვიყავი. ვგრძნობ, რომ ეს დიდი ჯილდოა, რუსთაველის სახელია და მას გაფრთხილება სჭირდება.

- ბანალურ შეკითხვას დაგისვამთ: პირველი ლექსი როდის დაწერეთ?

- ძალიან პატარა ვიყავი, 14 წლის. მახსოვს, გაზაფხულსა და ერთ გოგონას ეძღვნებოდა. ასეთი ბანალური სი-



უფეტი ჰქონდა. პირველი ლექსი იეთიმ გურჯის გავლენით დაწერე. ახლაც მახსოვს ის სტროფი: „სიყვარულის ბაღში შაველ და იქედან ველარ გაველ.“ ამის შემდეგ გავიდა წლები და აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივანი გავხდი. საქართველოს რადიოში მიმინვიეს. ჩემზე გადაცემას ამზადებდნენ. რეჟისორი იყო გენიალური ადამიანი ლია დავლიანიძე. უკვე მთავრდება ჩანერა და ჩემი „კოლხური ეპითალამებიდან“ წავიკითხე ლექსი სიყვარულზე. და ბოლოს ვთქვი - „სიყვარულის ბაღში შაველ და იქედან ველარ გაველ“, - ამით დავიწყე და ამითვე ვამთავრებ-მეთქი. რეპლიკა იყო - დარჩით მაგ ბაღში, ნუ გამოხვალთო.

- ანუ სიყვარული არის თქვენი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემა, რომელიც შემდეგ სხვადასხვა ფორმით განივრცო თქვენს პოეზიაში.

- რა თქმა უნდა, ასეა. როდესაც 50 წელი შემისრულდა, გამოვეცეი წიგნი, სახელწოდებით „ფესვები“. ეს იყო სოხუმში. ბოლო წიგნსაც, რომელიც თითქმის 800 გვერდია და მთელ ჩემ შემოქმედებას აერთიანებს, ისევ „ფესვები“ დავარქვი. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ჩემი აზრით, დღეს ყველაზე მეტადაა საჭირო საკუთარი ფესვების ცოდნა. როცა არ იცი, საიდან მოდიხარ, არ იცნობ შენს ფესვებს და არ უფრთხილდები მას, აქედან იწყება ადამიანის გადაგვარება. ჩემი პოეზია მაინც უფრო პატრიოტული ლირიკისკენ იხრება და სახელწოდებაც შესაბამისია. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ჩემი შემოქმედე-

ბა შეაფასა კომისიამ, რომლის წევრები არიან თამაზ გამყრელიძე, ბესიკ ხარანაული და სხვები. ვფიქრობ, რამდენიც დამრჩენია, ამ სიმაღლითა და ამ ტონუსით უნდა გავაგრძელო მუშაობა. შემოქმედებითად კიდევ უფრო გააქტიურებასაც კი ვაპირებ. გვაქვს ლიტერატურაში მაგალითები, როდესაც სიბრძნის ასაკში მეტი რამის გაკეთება შეიძლება. პასტერნაკმა სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე თქვა, ძლივს ვისწავლე გასაგებად წერაო.

- ფესვებს, ოჯახს, ტრადიციებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებთ და ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ მწერლობის გზას თქვენთან ერთად თქვენი ძმები - რენე და ზაურიც დაადგნენ.

„უფალო, თოვლი მოსულა ღამით, რა სიმშვიდეა, რა სილამაზე, თითქოს ათასი ციმციმებს კვალი, შენგან, ო, შენგან გაკვალულ გზაზე, ისეთი მზე და გარემო სუფევს, ისეთი მნათი ანათებს საყდარს, თითქოს, იები მოგართვეს წუხელ წმინდა მამებმა სიონის კართან.“

ასე გადმოვცემ სენაკში დაყუდებული ადამიანის თვალით დანახულ ცხოვრებას, მართლმადიდებელი მღვდლის განცდებს. ამ ჟანრში აქამდე არაფერი მქონია. ყულანურხვა არის ასეთი სოფელი აფხაზეთში, გუდაუთის რაიონში. ეს არის აფხაზ პოეტ გიორგი გუბლიას სოფელი. ამ სოფელში იმართებოდა დიდი ლიტერატურული საღამოები. საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირიდან ჩამო-

დიოდა ხოლმე 200-კაციანი დელეგაცია. მეც ვარ რამდენჯერმე ნამყოფი ასეთ საღამოზე. ამ თემას ეძღვნება ჩემი ლექსების კიდევ ერთი ციკლი, რომელთაგან ერთს წავიკითხავთ: „უფალო, მარტო ვიარე ტყე-ტყე, ყულანურხვაში ჩავედი ფეხით, იზაბელას და კაჭიქის მეტრფე ვენახს ფურჩქნიდა აფხაზი გლეხი, მომიახლოვდა, გამეცნო რიდით, ადრეც ერთმანეთს ვხვდებოდით თითქო, გამომეღვიძა და უმაღ მივხვდი, ეს ყველაფერი სიზმარი იყო.“

- ძველი ურთიერთობები, სამწუხაროდ, დღემდე ისევ სიზმრად რჩება. თქვენ აფხაზი მწერალი გიორგი გუბლია ახსენეთ, როგორი იყო და ახლა როგორია თქვენი ურთიერთობა აფხაზ კოლეგებთან?

- მალე გამოვცემ ჩემ ჩანაწერებს, მოგონებებს აფხაზ კოლეგებთან ურთიერთობაზე. სოხუმში 20 წლის განმავლობაში აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივანი ვიყავი. უფრო ადრე აფხაზეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე. ჩემი მოადგილე იყო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი შარახ ფაჩალია. ბატონ შარახს არასოდეს წამოსცდენია, ეს პატარა ბიჭი როგორ დამისვეს უფროსადო. აფხაზ პოეტ ივანე თარბას გაზრდილი ვარ. სამეგრელოდან, ზუგდიდიდან ჩასული ბიჭი გამზარდა და პიროვნებად მაქცია. ბატონი ვანო იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მე კი მდივანი ვიყავი.

ახლაც ბევრი მეგობარი მყავს აფხაზეთში. ერთ-ერთია აფხაზეთის განათლების მინისტრი დაურ ნაჭყებია. მე მისი ცოლ-შვილის სურათი სახლში, კედელზე მიკიდია. როდესაც დაური თბილისში ჩამოვიდა და ერთმანეთს შევხვდით, ორივე ვტიროდით. დღესაც ძალიან მიყვარს შესანიშნავი აფხაზი მწერლები კოლია კვიკვინია, ბორის გურგულია, შამილ ფილია, ჯუმა ახუბა. ნიკოლოზ (კოლია) კვიკვინიამ თარგმნა აფხაზურად „დათა თუთაშხია“, გალაკტიონი, ირაკლი აბაშიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი. მიუხედავად ამისა, უნდა ვთქვა, რომ არასწორი იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში ამ მწერლებსაც მიუძღვით ბრალი. ისე ნამდვილად არ არის, თითქოს ისინი ყველაფერში მართლები არიან და ჩვენ ვიყოთ ყველაფერში დამნაშავე. დანაშაული ორივე მხარეს მიუძღვის და ეს უნდა ვალიართ. ორივე მხარემ ერთმანეთს უნდა მოუხადოთ ბოდიში. არსებობს პრინციპები, რომელიც ორივე მხარემ უნდა დავიცვათ და ერთმანეთს შეურაცხყოფა არ უნდა მივაყენოთ. გურამ გაბისკირიას სიკვდილის წინ უთხრეს, დაიჩოქეო, არასოდესო - უპასუხა. ნახევარ საათში დახვრიტეს. ზოგჯერ სიცოცხლეს ასეთი სიკვდილი სჯობს. ცას ხომ არ გამოვეკერებით, ადამიანები ვართ და ღირსეულად უნდა ვიცხოვროთ.

დრო ყველაფრის მკურნალია და სწორად თუ მოვიქცევით, ყველაფერი გამოგვივა. ამერიკელის რჩევა არ მჭირდება ჯუმა ახუბასთან შესარიგებლად. 15 წლის წინათ აფხაზებთან მოლაპარაკებებზე ვიყავით იალტაში. იქ აფხაზეთის მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარეს ვიარესლავ ცუგბას შევხვდი. ერთმანეთი რომ დავინახეთ, გადავეხვიეთ. სოხუმში მეზობლები ვიყავით, ის მეშვიდე სართულზე ცხოვრობდა, მე მეექვსეზე. სანამ ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ ის ადამიანები, ვისაც გვახსოვს ეს ურთიერთობები, მანამდე უნდა მოხდეს შერიგება.

- წლების განმავლობაში საქართველოს პარლამენტის წევრი იყავით, დღემდე ხართ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი. უშუალოდ მონაწილეობდით კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკურ პროცესებში. შემდეგ ისევ შემოქმედებით საქმიანობას დაუბრუნდით და არჩიეთ ისევ ამ გზით გეთქვათ სათქმელი.

- მიმაჩნია, რომ პარლამენტიდან აფხაზეთის დეპუტაციის გამოშვება არ შეიძლებოდა. სამი მოწვევის პარლამენტის წევრი ვიყავი. არ გავიდოდა კვირა, რომ აფხაზეთის საკითხი არ დაგვესვა. ჩვენი წამოსვლის შემდეგ ეს საკითხი პარლამენტში არ დასმულა. ჩვენ სხვაგვარად შეგვტკივა გული აფხაზეთზე, ჩვენ იქ საფლავები დავგრჩა. მახსოვს, გაგრის დაცემის შემდეგ თამაზ ნადარეიშვილის მწარე სიტყვები - სოხუმს რომ რამე დაეშართოს, მაშინ მიხვდებით, რას ნიშნავს მშობლიური ქალაქის დაკარგვაო. ასე რომ, ჩვენზე უკეთ არავინ იცის, რას ნიშნავს აფხაზეთის დაკარგვა. ვფიქრობ, ახალი ხელისუფლება ამ მხრივ გააქტიურდება. იქ არიან ჩვენი ძმები, გურამ ოდიშარია, პაატა ზაქარეიშვილი, რომელთაც იციან აფხაზებთან ურთიერთობა.

- თქვენი შემოქმედების ასე დაფასება, ალბათ, აფხაზი კოლეგებისთვისაც კარგი მაგალითია.

- დიახ, ასეა. საქართველოს ბევრი კუთხიდან მივიღე ზარი. ბევრმა მომილოცა.

- აფხაზეთიდან თუ შეგეხმიანენ?

- აფხაზეთიდან არა. ისინი ტელეფონით ურთიერთობას ერიდებიან. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რალაც გამომხაურება მოჰყვება.

„ბოლოს და ბოლოს ცა ნამოგნავს“...

(მანონ ბულისკერიას ახალი პოეტური კრებული „ნედლი ნამხრევი“)

თამარელა წოწორია

მანონ ბულისკერია გახლავთ ის პოეტი, რომლის ლექსები 1993 წლიდან სისტემატურად ქვეყნდება ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. გამოცემული აქვს ოთხი წიგნი: „მე გეტყვი“ - 1999 წელი; „ცხელი მარტოობისთვის“ - 2002 წელი; „კედლების გემო“ - 2006 წელი; „ნედლი ნამხრევი“ - 2013 წელი.

თუ კრებულების სათაურის პოეტიკაზე დაფიქრდებით, მისი რაფინირებული პოეტური სული აქაც ჩანს. ამ სათაურებიდან მისი შემოქმედებითი ხმა ისმის, ხმა ორიგინალური, უგავლენო და თვითმყოფადი...

კრებულის - „ნედლი ნამხრევი“ - პირველივე ლექსი არათანაბარმარცვლიანი საზომითაა შესრულებული და 64 სტრიქონზეა განთავსებული. ამ კრებულის როგორც ყველა ლექსი, ისეც უსათაუროა. საერთოდ, უსათაურობა ლექსებისა არ არის იმ დეფიციტის გამოხატვა, რომ თითქოს პოეტი ვერ არჩემვს ან ვერ უძებნის ლექსებს სახელებს, პირიქით, უსათაურობა მისი პოეტური არჩევანია. ლექსების უსათაურობა, ღიაობა და გამჭვირვალობა ერთგვარ სტილურ თავისებურებადაც უნდა მივიჩნიოთ. ერთ-ერთ ლექსში ხშირდება სიტყვა-ნეოლოგიზმი ნამხრევი (ფიქრი ნამხრევი), რომელიც პოეტმა სათაურის თანაცალად მოიაზრა. სათაურში გატანილია სინტაგმა „ნედლი ნამხრევი“.

სიმარტოვეში სუფევ, მზეო. არის სავსე სიცარიელეც აქვე და ფერში მაგრძნობინებს ნახნაგოვან გარდაცვალებას. გეტყვი - მგონია, ვარ სამყარო (ნაწილი მაინც), მღიმარი შიში ხშირად ჩნდება ძალიან ახლოს. მზერას მართმევს ფიქრი ნამხრევი.

ნამხრევედ გვესახება ის შემოქმედებითი ტვირთი, რაც მას, როგორც პოეტს, მოაქვს და მისი მხრებით სატარებელი ტვირთი არის ნედლი, სიცოცხლით სავსე და მარად უჭკნობი. ნატიფი მხრებითა და სულიერებით რომ გადააქვს პოეტს ამ საწუთისოფლოდან, ამიერ ქვეყნიდან იმიერში სიმძიმე პოეტური დანიშნულებისა, ადამიანური ვალისა... აკი შენიშნავს ერთგან:

ხელში ფანქრით გემშვიდობები და შენს ნაცრისფრად მოხატულ კედელს წითელი მზე ჩემიც ებაროს ჩამოხსნილი უკვდავებიდან.

თემატური უწყვეტობაა მანონ ბულისკერიას ლექსებისთვის, რომელიც აზრის გადმოცემისა თუ ფორმისა და შინაარსის სიმწყობრით გამოიხატება.



მის პოეზიაში აქცენტირებულია ის ერთადერთი დრო, რომელშიც ყველა დროის ნამდვილი პოეტი ერთად და ერთდროულად თანაარსებობს, ანუ ერთ ოლამურ სივრცეში მოიაზრება.

კრებულის ლექსების თანმიმდევრობით და დაგეგმვებით ნაკითხვამ ჩვენს ხშირად „ვერ-მომხრობილ გულში“ (ეს სიტყვათმეთანხმებაც პოეტის მიგნება გახლავთ) დატოვა გაცდა იმი-სა, რომ მანონ ბულისკერიას პოეზია არის უფაქიზესი სიყვარულის უძირო ზღვა...

კრედო, რაც ნამდვილ პოეტებს ბედისწერასავით თან დაჰყვებათ ხოლმე, ეს არის ჯაფა და ეს არა სახელის მოსახვეჭად, ან მით უმეტეს, გამორჩენისათვის, არამედ ჯაფა იმისათვის, რომ ადამიანური სულისაგან მანამდე არარსებული შექმნან. აი, თუნდაც ასეთი სულისმიერი სტრიქონები:

დღესაც გარწმუნებთ, რომ საუკუნეს ჰყავს თავისი რჩეულები, ჩაბრუნებული ფიქრით მარბნალი ადამიანები. აქ დაყოვნებას სიცოცხლე დაარქვეს დიდხნის წინ. და ზოგჯერ სხვაგან არსად მინდა. ხშირად კი - ვეძებ ხიფათს, რომელიც სარკმლის მაგივრობას გამიწევს და აქედან გამიყვანს...

რა რთულია პოეტის მიმართვა მზისადმი, თუმცა მარტვი არც ზმნისადმი (დამაძლევინე!) მიმართვა:

მინის სიმძიმე დამაძლევინე, მაგრამ განა მარტო ამისათვის მიყვარხარ, მზეო! ეს სტრიქონები კი ნააგავს მწვერვალს: სიცისფრეს კამარიდან წვიმად ჩამოვმლი.

ეს სტრიქონი კი „ცაზე ღმერთით თმვიდითვარეა“ თავისი სრულყოფითა და შედარების მაღალი რეგისტრით იოსიფ ბროდსკის სტრი-

ქონს ედარება „ჩაის სერვისს ჰგავს ვენეციის ეკლესიები“.

აქ კი უჩვეულოდ ახალი პოეტური მონასში შემოგვთავაზა:

ეს... გულუბრყვილო ხეები ნამით გალიმებულ ფოთლებს კარგავენ... ამ სტრიქონში კი პოეტმა თავის თავს ზუსტად მიაგნო: სულში ნათელმა მზის დოლაბი დაატრიალა!


საკუთარი ქვეყნის კატაკლიზმები მანონ ბულისკერიას პოეზიაში ცალკე სოციალურ, პოლიტიკურ თუ ისტორიულ თემებად კი არ ფორმირდება, არამედ მისი აზროვნების ათვლის წერტილად იქცევა და ამავე დროს, განსაზღვრავს პოეტის სევდის სიღრმესა და შედგენილობას. ის ამ კრებულში არ წერს ომზე, შიმშილზე, შიმშილზე თუ მკვლელობაზე, მაგრამ ლექსების ინტონაცია და აზრობრივი რაკურსი მიგვანიშნებს, რომ ლექსი ყოველივე ამის შემდეგ, ამ ცოდნით იწერება. ლექსის სინტაქსი და მხატვრული გამომსახველობითი სამყარო შეესაბამებია ფიქრის პროცესს. ძალიან მცირე, უბრალო და ნაცნობი საგნები: ჩამოფენილი გობელენი, სარკმელზე შტორები, თუ საჩრდილობელი თალარი და კიდევ უფრო დიდი ღირებულებები - მზის სხივი, დედამინა, სამშობლო... ერთიანად არის განცდილი. პოეტის ფიქრი თავის აწმყოში ტრიალებს და არ კარგავს მშობლიური ხმის, სივრცის, მიწის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას:

ჩემი სავიზიტო ბარათია მაჯისცემა, მე შენთან მოვედი, რომ გითხრა - ჩემ სამშობლოს ჰგონია, პატარაა, საოცარი ქვეყანაა საქართველო!

მანონ ბულისკერიას პოეზია ეგზისტენციალური პოეზიაა. მისი ლექსები დაძაბული და დანერვილებითი კვლევაა ადამიანის სულისა, კერძოდ, მისი პოეტური „მეს“ ყოფნისა დედამიწაზე. ამ სულს, ამ პიროვნებას მისჯილი აქვს ადამიანის სულში, შინაგან სივრცეში იყოს ჩაბრუნებული.

პოეტი არც მაშინ ცდება, როცა საკუთარ ლექსებზე ამბობს... არ გადაითვლები „ბოლოს და ბოლოს (ცა ნამოგნავს“-ო. საკუთარი ლექსების პერსონიფიკირების იშვიათი ნიმუშია ეს სტრიქონები.

გადავიარონ, მაგრამ გვერდს კი ნუ ავივლიან (ვიცი, რომ არ გაითვლები. ასე შენი სიჯიუტე მაფიქრებინებს. ბოლოს და ბოლოს (ცა ნამოგნავს!) ნუ დალაგდები! ნუ გამწირავ და იყავი სულ დაუვარცხნელი! მეტი არც რა.



აბა, შენ იცი, აწენილ-დაწენილი სამშობლო მაქვს და მშვენიერი ნურც შენ იქნები!

საინტერესოა მანონ ბულისკერიას ლექსების მხატვრულ-გამომსახველობითი სამყარო. მას მშვენიერი რითმის განცდა აქვს და არც ერთ მის რითმას არ ატყვია ნაძალადეობისა და ხელოვნური ძიების კვალი.

რითმას განსაკუთრებულ ხიბლს აძლევს სახელის გართიმვა ზმნასთან და პოეტი ასეთი რითმების ვირტუოზად გვევლინება.

მანონ ბულისკერიას ლექსები, უწინარეს ყოვლისა, გამოირჩევა თავისი მედიტაციურობით: ფიქრით, მსჯელობით, განსჯით, დაკვირვება-განცვიფრების დიდი ნიჭით, რაც გავლენას ახდენს ლექსითი მეტყველების ხასიათზე, საზომის შიგნით ლექსის შიდა რიტმზე და მის მრავალფეროვნებას განაპირობებს. თუ დავაკვირდებით მისი ლექსების სტრუქტურას, შევამჩნივთ, რომ სიტყვათა განლაგება სალექსო მუხლებში თავისუფალია და ამან განსაზღვრა მის ლექსებში თავისუფალ მეტყველებასთან დაახლოებული სტილი. სასაუბრო ინტონაციამ კი გამოიწვია ლექსებში გადატანის ანუ ანუამბემანის მრავლობითობა, რაც გაცნობიერებული პოეტური ხერხია.

„ნედლი ნამხრევი“ გახლავთ მუდამ თვალზე მოციმციმე დედამიწელი პოეტის წიგნი, რომელსაც ახსოვს ყველა ის სასწაული, რომელიც მას უნახავს თუ ამოუკითხავს სადმე, ოდესმე. ეს სასწაული კი ისე გადაშლილია მის პოეზიაში, როგორც „ცა და ბიბლია“.

ერთგულება



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ ტრადიციული კონკურსის წლის საუკეთესო თხზულება შედეგები შეაჯამა და გამარჯვებულები გამოაცხადა. სამინისტრო უკვე რამდენიმე წელია ამ კონკურსს ატარებს და აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული სკოლების შემოქმედებითი ნიჭით გამოჩენულ მოზარდებს ავლენს. კონკურსში თითქმის თანაბრად აქტიურობენ როგორც აფხაზეთის საჯარო, ისე კონფლიქტის ზონაში - გალის რაიონში მცხოვრები მოსწავლეები.

კონკურსი წლეულსაც ოთხ ნომინაციაში - პროზა, პოეზია, დრამატურგია, მხატვრული თარგმანი - იყო გამოცხადებული. წარმოდგენილი 28 ნაშრომიდან პირველი ადგილი დაიმსახურა აფხაზეთის მე-16 (ოტობაის) საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ მიხო ტუფურია, მეორე ადგილი - გალის მე-2 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეს გოგა ქათალანძეს ერგო, მესამე ადგილის მფლობელი აფხაზეთის მე-23 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე მარიამ უბილაგაძეა. მიხო ტუფურიასა და მარიამ უბილაგას პროზაული ნაწარმოებები ჰქონდათ წარმოდგენილი, გოგა ქათალანძეს კი აფხაზური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანი. **აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ აღუქსანდრეა პლაკოვმა** სამინისტროში მოწვეულ კონკურსის გამარჯვებულებს დიპლომები და საჩუქრები, დანარჩენ მოსწავლეებს კი სიგელები გადასცა.

გთავაზობთ მიხო ტუფურიას ჩანახატს: „ერთგულება“.

იმ დღეს რალაც განსაკუთრებული ხდებოდა მის ცხოვრებაში. მართალია, პატრონი ყურადღებას არასოდეს არ აკლებდა, მაგრამ ეს მეტისმეტი იყო. დაბანეს, ფაფარი დაუვარცხნეს და ფერადი თასები ჩაუწნეს, რალაც სურნელოვანი სითხეც შეაპყურეს. ცხენი გაოგნებული შეჰყურებდა პატრონს. რა ხდება? ფიქრობდა თავისი ცხენური გონებით. მერე ოთხთვალაც გარეცხეს. ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, შიგ უბრალო ფიცარი კი არა, სავარდლები ჩაანყვეს. ამგვარ რამეს ცხენი პირველად ხედავდა. ამ ბოლო დროს მისი მთავარი საქმიანობა ადამიანების გადაყვანა იყო, ტვირთი იშვიათად გადაჰქონდა, მაგრამ ეს სავარდლები რატომ მოიტანეს, ვერ მოისაზრა. მერე პატრონმა ხელი გავაზე გადაუსვა, ზურგზე ლამაზი ფარდაგი გადააფინა, მოსართავები მოუჭირა და უთხრა: აბა, შენ იცი, დღეს უნდა იყოჩალო, ჩემო ბებრო მეგობარო!

ვიდრე ეზოდან გავიდოდნენ, ქალებმაც მოწონებით შეხედეს. მერე გაემგზავრნენ. ახლოს შეუხვიეს და ხალხმრავალ ეზოში შევიდნენ. როგორია? - იკითხა პატრონმა. ყოჩად, კარგად მოგიფიქრებია, - შეაქეს. მერე ვილაცამ ლამაზი თაიგულების კონა გამოიტანა. ამან სულ გააიჟა ცხენი, რას უნდა ნიშნავდეს ეს? ნეტავ, რა ხდება დღეს? ორი ახალგაზრდა ჩაუჯდა, პატრონმა შეაგულაინა და გაუდგნენ გზას. გზა ნაცნობი იყო. ამ გზაზე რამდენჯერ უვლია. ვინ იცის, რამდენი

მგზავრი გადაუყვანია. ხდებოდა, დღეს რალაც სხვა დანიშნულება ჰქონდა, ოღონდ, რა, ვერ მოისაზრა. გზიდან გადაუხვიეს, უცნობ შარაზე გავიდნენ. ენ. რუსების ბაზას შორიდან აუარეს, ტყეცყე იარეს და ფართო გზაზე გავიდნენ. იგი უსიტყვოდ უგებდა პატრონს. იგუმანა სამიმ საქმეზე მიდიოდა. ვილაცის ჭიშკარს მიადგნენ. იქვე ახლოს საზღვარი იყო. იქით ცხენი ვერ წავიდოდა. ქალი მიეგებათ, საცაა მოვლენ, - შეატყობინა ცხენის პატრონს. რამდენიმე წუთი იცადეს. მეორე მხრიდან ხმაური მოისმა. ცხენმა აიხედა... ეს მართლაც მეტისმეტი იყო: მისკენ ულა-მახესი გოგონა და ბიჭი მოდიოდნენ, რალაც სხვანაირად მორთულები. ასეთი რამ მას მართლაც არ უნახავს, ორივეს თვალები უბრწყინავდა, სახეზე უსაზღვრო ბედნიერება დასთამაშებდათ. უკან რამდენიმე ადამიანი მოჰყვებოდათ. ისინიც მსიარულობდნენ. მასაც გადმოედო ეს სიხარული, გალაღდა, წლები დაივინყა, ყველანი მისკენ ნამოვიდნენ, სავარძლებში ჩასხდნენ. მიხვდა ცხენი, უძვირფასესი მგზავრები უსაფრთხოდ უნდა მიეყვანა დანიშნულების ადგილას. მას ენდნენ, მისი სჯეროდათ. მათ არსად არ უნდა გადაყროდა. მზემაც კი სხვანაირად გამოაბრწყინა, მაგრამ ეს რა იყო იმასთან შედარებით, რაც მის გულში ხდებოდა. მობრუნდა, ფრთები გამოისხა, ფეხებს მიწას არც კი აკარებდა. ხმაურს ერიდებოდა, დროდა-

რო უკან გააპარებდა თვალს, სიძე-პატარძალს შეხედავდა, მათი ნახვა ძალას მატებდა, შეძახება არც კი სჭირდებოდა. ყველა მიხვდა, რა ხდებოდა ცხენის გულში, ხმას არ იღებდა, გული კი მართლაც ამოვარდნაზე ჰქონდა. ყოველწუთს შეიძლებოდა, რუსებს გადაჰყროდა. დიდი საფრთხილე იყო საჭირო. ჰაერს ხშირად ყნოსავდა, თითქოს სურდა სუნით ეცნო მათი სიახლოვე. მათი ბაზა უკან მოიტოვეს, სამიშროებას გაერიდნენ, ნაცნობ ქუჩაში შეუხვიეს კიდეც, ცოტა იარეს და ხალხმრავალი ეზოც გამოჩნდა. ხალხი ყიჟინით შემოეხვია, გაიკვირვეს, ასე ჩქარა როგორ იარა, ოვლად დაღვრილა სანყალი, - აღნიშნა ვილაცამ. მასპინძელი ცხენთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა: ყოჩად ცხენო! ეს პირველი პატარძალია ომის შემდეგ. შენს სოფელში სიხარული და იმედი შემოიტანე, მაღლობა!

ცხენს მეტი რალა უნდოდა. გაიხარა, სიხარულით დაიჭიხინა, და პატრონს შეხედა. მან ოთხთვალადან მოხსნა, გაოფლიანებულს ტომრები გადააფარა, დაბა და თივა ბლომად დაუყარა.

... დილით თავლაში მესულ პატრონს ცხენი მკვდარი დახვდა. ცხენს კბილები კი არ დაეკრიჭა, უბრალოდ, გალიმებულ მომკვდარიყო.

მიხო ტუფურია, აფხაზეთის N16 (ოტობაის) საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე.

რობერტ მისხის „მზის რაფსოდია“

ნინო ვახანია

ახლახან გამომცემლობა „საუნჯემ“ დასტამბა რობერტ მისხის ახალი პოეტური კრებული „მზის რაფსოდია“, რომლის რედაქტორია ბათუმელი პოეტი და მთარგმნელი ბადრი თევზაძე.

მზის, სინათლის, სიმინდის სიმღერაა ეს კრებული. რაზეც უნდა წერდეს პოეტი - წარსულზე, აწმყოსა თუ მომავალზე, შორეულსა თუ ახლობელზე - თვალწინ მუდამ მზით განათებული მშობლიური ქალაქი უდგას. ის აწერინებს, ის, როგორც ცოცხალი ადამიანი, როგორც სატრფო შთაგონებს. ის, როგორც ნათლით სავსე სამოთხე, იზიდავს და ათბობს. რობერტის წუხილსაც, სიხარულსაც, სევდასაც, აღტაცებასაც, იმედსაც და უიმედობასაც ის, ერთი, მოწყვეტილი თუ წართმეული, თუ აკრძალული ქალაქი ათბობს და ასაზრდოებს.

ხან გაყიდულია ამ ლექსებში ჩვენი ქალაქი, ხან - სისხლიანი, ხან - ზერხემალში გადატეხილი... ბუნებრივია, პესიმიზმი შერევია სტრიქონებს. თუმცა გულისთვის მარად განუშორებელს სიყვარულს უმხელს პოეტი, იმედგაცრუების დამლა მაინც ძალუმაღ დაჩნევია:

„ასე მეგონა ერთად ყოფნას (ჩემსას და შენსას) მღვიმე თუ არა, ღმერთი მაინც დაიფარავდა“

ან

„იხე მიყვარდი, ზღვაო, ისე, - ვერ ვიფიქრებდი, თუკი ოდესმე შენს თავს ვინმე დამაყვდრი და“,

თუნდ ეს:

„ჯვარზე გაკრულს მოჰგავს ქალაქი, გულზე დასდის სისხლის მდინარე“.

და ერთიც:

„რომ გაგიჩნდი, გყოლოდი, ზღვაო, - რად გამაშვილე?!“

ბიბლია და ანტიკური მითი - შთაგონების კიდევ ერთი წყარო პოეტისთვის... და დედა უსაშველო ტკივილი. როგორი ნაზია, ლირიზ-მით სავსე:

„როგორ მიყვარს ჩემი სახლი, ლა, აღარ მაქვს და მაინც...“

თვითგვემა:

„მე გაგიმეტე, ზღვაო, (წყალი დანას არ იჩენს...), რომ მერე ასე - იმედმისჯილს - შენთვის მელოცა“,

ესეც:

„მხედრულით მოგწერ, მონამო, ასომთავრული?... ასომთავრული რა ხანია გადამაწიწყდა“.

ასე ამოგლეჯილი ნაწყვეტებით ლექსიც დაემახინჯე, შთაბეჭდილებაც გავაუფერულე და, რა თქმა უნდა, ვერ ვთქვი ის, რისი თქმაც მსურდა, სულმა რაც იგრძნო და ენით რაც ვერ გამოითქმის... და ისევ ლექსით დავამთავრებ (ნაწყვეტით ისევ):

„წინ მიდევს ბენვის... (ბენვის ხიდი მე რას გამიძლებს?!)

აღარ დავეძებ, თუკი ენგურს გადამატარებს!..“



„საქართველოში ქართველი ვარ დროგამოშვებით!“

იშვიათად, ასე მრავლისმეტყველად და ემოციურად ჩაატის პოეტმა ერთ სტრიქონში თავისი უმთავრესი სათქმელ-საწუხარი.

ქვეყნად გამჩენო, დაკარგული ყველა მტკაველი ნეტავი, პეშვით სამშობლოში მომატანინა“, -

ამ სტრიქონებში კი კიდევ უფრო დაკონკრეტებული და გამძაფრებულია ტკივილი ქვეყნისა თუ თავად ზაზა სუყაშვილისა. პოეტისა, რომელიც 2011 წელს ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა ნომინაციაში საუკეთესო პატრიოტული ლირიკა“.

ზაზა სუყაშვილი ჰერეთის, კახის რაიონის სოფ. ალიბეგლოს (ისტორიული ქათმისხევი) მკვიდრია. ის ამ კუთხესთან დაკავშირებული დიდი ტკივილის არა მხოლოდ მატარებელია, არამედ გამოშვებულიც. ამის დასტურია ზაზას პატრიოტული ლირიკა, მისი სულის-კვეთება, რომელიც პოეტის ცხოვრების წესსაც განსაზღვრავს.

ზაზა გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტია და ერთ-ერთი დამფუძნებელი ჰერეთის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება ქურმუხელისა“. არასამთავრობო ორგანიზაციისა, რომელიც აზერბაიჯანში (ისტორიული ჰერეთ-საინგილო) მცხოვრები ქართველების განათლების, კულტურისა და ცნობიერების ამაღლებას, შემოქმედებითი ნიჭის გაღვივებას, ამ კუთხის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის წარმოჩენას ემსახურება. საზოგადოება ქურმუხელი“ კი საქმიანობს, როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში, ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში.

ზაზა სუყაშვილი, როგორც პოეტი 2011 წელს ქართულ აღმოჩენადაც აღიარეს და გვინდა, ჩვენს მკითხველებსაც, მათ ვინც ზაზას ჯერაც არ იცნობს, აღმოვაჩინოთ იგი.

ალაზნის მიღმა... საქართველოში!

რამდენჯერ ცრემლით დაუწყია თვალის გახელა, თუმცა ძარღვებში დარდმა გენი ჯერ ვერ ჩახუთა! ძნელია, როცა საინგილო ჰქვია სახელად და ვერ იბრუნებს ისტორიულ ჰერეთს - საკუთარს... დროის დინებამ ამოხია მატინანდან, განგებამ დააკაბადონა, როგორც წიგნაკი. -იციტ? -იწყება საქართველო სწორედ აქედან, ჰოდა ვალთა, გავუფრთხილდე! ამის მიღმა კი წყალს წაუღია უდაბნო და მთები - ხრიოკი! მინდა სოფელში ბერიკაცი დი?ლიგს* ბარავდეს, მერე ბოსტნიდან (სალამო ხანს) პაპა იობის მეზობლის ბავშვი საზამთროს და კიტრებს პარავდეს. ღამით კი ლოცვით მიდიოდეს ბებო ხატებთან და უფალს მშვიდად გათენებას ეხვეწებოდეს... და ცხელი ცრემლი, ნაოჭიან, ფერმკრთალ ღანვებთან დაგუბებული, ჟონავდეს და მენვეთებოდეს! სანატრელია! მენატრება სოფლის მთა-ველი, შორიდან მესმის მშობლიური კუთხის ნანინა. ქვეყნად გამჩენო, დაკარგული ყველა მტკაველი ნეტავი, პეშვით სამშობლოში მომატანინა! ...

ჭრილობებს სულზე ჩუმი ლოცვით გაიმთელებენ, დაუბრუნდება ბაირალი ჰერელ მედროშეს... იქართველებენ!.. ძველებურად იქართველებენ ალაზნის მიღმა... გასხვისებულ საქართველოში!

ჩემი ცხოვრება

ჩემი ცხოვრება დაემგვანა გემის ძველ აფრებს, ზღვებია მხოლოდ... უშენობაც არის, Ellié! ალბათ, იცი, რომ რა ხანია ვერ ვწერ ვერაფერს, სათქმელსაც როგორ ერთიანად გამოველიე... იანვარია, წუხელ მთებში ისევ მოთოვა, სიცვიემ ქალაქს შეუცვალა ძველი იერი... ჩემი ცხოვრება შენს ჩარჩოში მყოფი ფოტოა, რომელსაც უკვე წლებია, რაც ათვალიერებ. Ellié, ცივა! (ალბათ ახლა ღმერთსაც შეცივდა), ყეფენ ძაღლები და ზამთარი მოაქვთ მარხილებს... ჩემი ცხოვრება ჩამოინგრა აფხა... (ზეციდან) და თავი ჩემი დამნაშავედ ყველამ ამხილა. საქართველო კი - მირაჟია, მხოლოდ მირაჟი! «Géorge»-ს რომ მეძახი, სამშობლოდან გწირავ მაღლობას. ჩემი ცხოვრება გადახიზნეს ფერე...(ირანში) და იმის მერე ყრუ-მუნჯი და უსინათლო ვარ. ჩემი ცხოვრება გაიყიდა ნაწილ და ნაწილ

(Ellié, წერას უსათუოდ მალე მოვრჩები)... ასეა, რა ვქნა, პარიზელო გოგონავ, აწი საქართველოში ქართველი ვარ დროგამოშვებით!

სოფელში წვიმებია... უბრალო წვიმებია, უბრალო... ხეებიც მოხრილან და ქუჩებში მოძრაობენ ქოლგებით; (ჩვენც ასე დავდიოდით) და ახლა უშენობა დაბრალდა დროს, რადგან დაგვაშორა: ქუჩებით, ქალაქებით, ოლქებით.

დუმს ახლა პოეზია და შენზე ლაპარაკობს ამინდი... აპრილსაც შესცივდა და მაისი გადაიცვა ორმხრივად. ღმერთია ისე ახლოს - სათხოვარს გაიგონებს: -ცა მინდა - ცოტათი ავამაღლო, რომ დაბლა გავიარო მოხრილმა.

უბრალო წვიმებია. სათქმელსაც მერამდენედ ველევი, ფიქრი ველარ სცდება სარკმელთან მოქანავე კვიპაროსს... წვიმს ასე, უსამშობლოდ... სოფელში დაიტბორა ველები და შენ კი უცხო ცის ქვეშ დარჩენილს საქართველო გიფარავს!

სოფელში წვიმებია... უბრალო წვიმებია, უბრალო...



პეიოქმედება, როგორც მონატრებულ მხარესთან გვაკავშირებს

აია შონი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა - აფხაზეთი“ - ამ სახელწოდებამ გააერთიანა მხატვარ დავით ბაძალუას ნამუშევრების გამოფენა, რომელიც 25 მაისს სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა. სურათების სერია ქალაქ თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. უკვე წლებია აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი მხატვრის ფიქრი, ოცნება, განცდა, მომავლის ხედვა აფხაზეთის უკავშირდება. ეს ყველაფერი დავით ბაძალუას ფერწერაში ზეით, აკრილით, გუაშით, ხოლო გრაფიკაში ფანქრით აისახება.

მხატვარმა თავის ნამუშევრებში აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის თითქმის ყველა ძეგლი ასახა და ამით სრულიად ახალი ხედვით წარსდგა დამთვალიერებლის წინაშე. ამ გამოფენით მიზნოდა ის ძეგლები მომენახულებინა, რომლებიც სულიერად მავსებენ. ძეგლები, რომლებიც ჩვენს გარეშე, ქართველების გარეშე, დგანან ამდენი ხანი და ზიანდებიან. წარმოვიდგინე, რომ მშობელმა შვილი გაზარდა და შემდეგ მიატოვა. ჩვენც თითქოს ასე მივატოვეთ ეს ძეგლები და არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ დაუბრუნდეთ და ამას ისინიც ისევე განიცდიან, როგორც ჩვენ. ეს არის ჩემი წუხილი, რის გამოც მე ისინი დავხატე. ამით სხვასაც მივეცი მათი დათვალიერების“ საშუალება. ვისაც აკლია ეს განცდა, მინდა, რომ ამ გამოფენით გაეფუღვიო“, - ასე ხსნის ბოლო ერთი წლის განმავლობაში (იგი ამ ნამუშევრებს ერთი წელია ხატავს) ნაფიქრსა და განცდის თავად მხატვარი. გამოფენის მეორე ნაწილი, აფხაზეთის პეიზაჟები („სეფდანარევი ჰაერი“, „განმოერების ზღვა“, „მივიწყებული მხარე“, „ჩაფიქრებული სანაპირო“, „დავა ჰარმონიასთან“ და ა.შ.) მხატვრის ისევ



პარიზი, საკრეკერის საგამოფენო დარბაზში

და ისევ აფხაზეთთან დაკავშირებულ ემოციებს ასახავს. შემოქმედი თავს ბედნიერად მიიჩნევს, რომ პროფესია მას მონატრებულ მშობლიურ კუთხესთან აკავშირებს და თავისი ნახატებით სხვასაც აძლევს ამ განცდების გაზიარების საშუალებას. ხშირად ისიც სხვებთან ერთად კითხულობს“ თავისავე ნახატებს და ახალსაც აღმოაჩენს ხოლმე. ეს არის ნახატები, რომლებიც ჩემია, ჩემს განცდებს გამოხატავს, ჩემს ბავშვობასთან და იმ მოვლენებთან არის დაკავშირებული, რაც ამ ოცი წლის განმავლობაში თავს გადაგვხდა. ეს არის ჩემი ზღვასთან დამოკიდებულება. ეს პეიზაჟები აფხაზეთიდან შემორჩა ჩემს მეხსიერებას. მათი შექმნა და შემდეგ დათვალიერება ჩემს ემოციურ სამყაროს კურნავს და ამშვიდებს. თუ სხვაზეც ასევე მოქმედებს, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ნახატებს ხუთი წლის განმავლობაში ვქმნიდი. ეს არის ის, რაც მე მანუხებს. მობილური სიგნალი კოსმო-

სიდან მოდის და შენ მას სხვას უგზავნი. ჩემშიც ასე ხდება. უფრო გრძნობით ვხატავ, ვიდრე გონებით. გრძნობა კოსმიურია და ღვთიურია და ეს უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე ის, რაც გონებას უკავშირდება და კომერციულია“, - ამბობს დავით ბაძალუა. მიუხედავად იმისა, რომ გამოფენაზე ორი სრულიად განსხვავებული მიმართულება იყო წარმოდგენილი, ერთი ხაზი, სტილი, ანუ ერთი მხატვრის შემოქმედება მაინც შესამჩნევი იყო. ამ სტილის ამოცნობა არ გაუჭირდებოდა მხატვრისგან გამოფენებით განებივრებულ დამთვალიერებელს. დავით ბაძალუა პერსონალური გამოფენით მეთორმეტედ წარსდგა საზოგადოების წინაშე. ამ გამოფენამდე ცოტა ხნით ადრე დავით ბაძალუას ნახატები პარიზში, საკრეკერის საგამოფენო დარბაზში გაბართულ ცნობილი ქართველი მხატვრების გამოფენაზეც იყო წარმოდგენილი და ამ გამოფენის ორგანიზატორის, ქეთი

ლაზარიშვილის გადმოცემით, დამთვალიერებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. დავით ბაძალუას შემოქმედება დამთვალიერებლებმაც შეაფასეს. **ალექსანდრე ალაკოვი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი**: - თანამედროვე მხატვარი დავით ბაძალუა თავის გამოკვეთილ სიტყვას ამბობს მხატვრობაში და აშკარაა, რომ მომავალშიც ასეთივე შემართებით გააგრძელებს სვლას. ამას ეს პერსონალური გამოფენაც მონიშნავს. **გია გვაზავა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე**: - დავით ბაძალუას ნამუშევრები არაერთ კოლექციასა თუ გალერეას ამშვენებს. დარწმუნებული ვარ მისი ნამუშევრები კიდევ ბევრი გალერეისა და კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდება. **ჯონი აფაქიძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი**: - შესანიშნავი გამოფენაა. დათოს ნახატი ჩემს სამუშაო ოთახსაც ამშვენებს. მასზე ასახულია სასტუმრო აფხაზეთი“ შავი ზღვის სანაპიროზე. ეს ნახატი მთელ ჩემს კაბინეტს ანათებს. შევხედავ და მამხნევებს თითქოს. **თამაზ ზუბუა, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრი**: - ეს გამოფენა მხოლოდ ხელოვნების თვალსაზრისით არ არის მნიშვნელოვანი, მას პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. დავითმა თავის შემოქმედებაში აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის პრობლემაც დასვა. **ზურაბ ჭეღია, მხატვარი**: - დავით ბაძალუა ძლიერი მხატვარია აფხაზეთის მხატვართა რიგებში. ძალიან მიხარია ახალი თაობის ასეთი წარმატება. მხატვარი ტილოზე ასახავს იმას, რასაც თვითონ წარმოადგენს. დავით ბაძალუას მხატვრობა ღრმად და იძლევა იმ იმპულსებს, რომელიც გჭირდება ყველა ჩვენგანს. ეს არის მხატვარი, რომელიც ჭირდება მხატვრობას.

აფხაზეთის საქართველოსგან განუყოფლობის დასტურად

პირველი გვერდიდან

ნატო კორსანტია

საოცრად ემოციური და ცრემლიანი იყო გამოფენის გახსნა კასპში. მოიგონეს კასპის ბატალიონი, რომელმაც აფხაზეთისთვის ბრძოლაში საბაყოფურტები ჩაწერა. ამ ომს 34 კაცი შეენირა, მათ შორის კასპის გამგებელი ტარიელ შარიფაშვილი. ამ გამოფენამ გამახსენა სოხუმი, ზღვა, ტაძრები, ადამიანები და მათთან ურთიერთობები. - თქვა **მეუფე ანდრიამ, სამთავისისა და გორის მიტროპოლიტმა** და დასძინა, - აფხაზეთი ჩვენი გულისტიკილია. ვიდრე აფხაზეთი ისევ არ შემოუერთდება საქართველოს, ბედნიერები ვერ ვიქნებით, ჩვენს ბედნიერებას ყოველთვის რაღაც დააკლდება. თაობებისთვის, რომელთაც გვახსოვს აფხაზეთი და 20 წელია არ გვინახავს, ეს გამოფენა იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ფიქრით მაინც დავუბრუნდეთ იქაურობას. ახალგაზრდებს კი, რომელთაც არასოდეს უნახავთ აფხაზეთი, გაიზიარონ ის სული, რაც იქ ტრიალებდა. ჩვენი შეცდომა ისაა, რომ თავის დროზე ვერ დავაფასეთ, რაც გვქონდა. სამწუხაროდ, ახლა თავიდან უნდა დავიწყოთ დაკარგული სულისა და ურთიერთობების აღდგენა. ეს სული და ურთიერთობები ყველაზე ძვირფასია და ეს დანაკარგი ყველაზე დიდი ტკივილი. მადლობა დათოს, რომ მის ნახატებში არის სევდა და სიყვარული. სიყვარული რომ არ იყოს, ეს ნახატები ასე შთაბეჭდავი არ იქნებოდა“. რაც დრო გადის, უფრო გშორდებით აფხაზეთს, ეს კი არ უნდა დავუშვათ. ისევ და ისევ ჩვენ უნდა გავიხსენოთ და ეკეყანას არ დავავიწყოთ აფხაზეთი. მადლობა დათოს მისი ვაცოცხლებლისთვის. ამგვარ ხელოვნებს უნდა მოვეფეროთ“, - აღნიშნა **ოლეგ იაქემ, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა**. დამსწრეთ გამოფენის დამთვალიერებით გამოწვეული შთაბეჭდილებები



გაუზიარეს ასევე ლია მენაბდიშვილმა, კასპის I და II საჯარო სკოლების პედაგოგებმა ლია ზარიძემ და მანანა ყუბანეიშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, მხატვრებმა ზურაბ გაბუნიამ და ზურაბ ჭეღიამ, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ, მსახიობმა ზურაბ ცინცქილაძემ. ვაჟთა ანსამბლ მოურავის“ მიერ შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა და ქორეოგრაფიულ ანსამბლ ქორეოლოგის“ ცეკვა აფხაზურმა“ შეხვედრა კიდევ უფრო ემოციური გახდა. კასპელებმა თითქოს ერთი დღით დააბრუნეს აფხაზეთი“, თქვა **ნინო ახალიამ, საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა**. მადლობა კი ცრემლების გარეშე ვერ თქვა **დათო ბაძალუამ**: ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან იმას, რაც სიყვარულით ვაკეთე, თქვენ სიყვარულითვე უპასუხეთ. მადლობა კასპის გამგებელს, ოლეგ იაქეს. მადლობა ლია ბეგლარიშვილს, ამ გამოფენის მოწყობის

ინიციატორს. კასპი გამორჩეული ყოფილა სულიერებით და, მის წინაშე მეტი პასუხისმგებლობა ვიგრძენი“. დათო ბაძალუას ნამუშევრების გამოფენამ კასპში ერთ კვირას გასტანა. გამოფენის ბოლოს მას დამთვალიერებელთა ჩანაწერების ალბომი გადასცეს. გულწრფელმა და მგრძნობიარე სიტყვებმა კი ისე ააღელვა მხატვარი, რომ როგორც ამბობს, ახალი შემოქმედებით იმპულსებით დამუხტა. დათო ბაძალუას ნახატები მხოლოდ ნატურალისტური არაა, ის გადმოსცემს შეგრძნებებსაც. როდესაც კასპის კულტურის სახლში გამოფენილ ამ ნამუშევრებს ვათვალიერებდი, ვთქვი, რომ აფხაზეთის მონატრება გამიმძაფრდა. მაშინ მომინდა, რაც შეიძლება მეტ ადამიანს, განეცადა ეს გრძნობა. ამიტომაც გადაწყვიტეთ გამოფენა გორშიც მოგვეწყო. განსაკუთრებით მიხარია, რომ ეს ჩვენი სკოლის კედლებში ხდება“, - თითქოს კასპში განწყვეტილ საუბარს აგრძელებდა გორის სასულიერო სასწავლებელში თავადაც სოხუმელი **მეუფე ანდრიამ, სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი**. დათო ბაძალუას ნამუშევრებმა კასპიდან აქ სწორედ მისი

ინიციატივით გადმოინაცვლა. აფხაზეთის ეკლესია-მონასტრების ფერწერული და გრაფიკული ტილოები, აფხაზეთის თემატოკაზე შესრულებული სხვა ნახატები სასულიერო სასწავლებლის ინტერიერში ბუნებრივად და ორგანულად ჩაენერა. მოგვიანებით, **აფხაზეთის ხელოვანთა და შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, გენო კალანდია** იტყვის კიდევ, რომ გამოფენის ამ სივრცეში მოწყობით ეკლესიისა და მხატვრების ოდინდელი ურთიერთობა კიდევ ერთხელ გაიხაზა. ურთიერთობა, რომლის მეოხებითაც არაერთი შედეგრი შექმნილა“. ასევე კიდევ უფრო განავრცო თავისი სათქმელი **გია გვაზავამ, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე**, რომელიც ამ გამოფენას სამების ტაძრისა და კასპის შემდეგ გორშიც თან ახლდა. აკი განაცხადა კიდევ: მე დათო ბაძალუას ერთგული მემატინავე მეთქმის. მისი ნამუშევრები ბევრი ცნობილი ადამიანისთვის მიმართმევია და მათი გულწრფელი სიხარულიც მასხვოს“. აფხაზეთის სულიერი საგანძურის ამსახველი გამოფენის მასპინძლობისთვის მადლიერება გამოხატა **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ**. აქ გამოფენილი ნამუშევრები აფხაზეთის კულტურულ მემკვიდრეობას აცოცხლებს და ჩვენ ყველას მასთან მიახლებს შესაძლებლობას ვაძლევს. ეს ტილოები აღადგენს ამ კუთხის ისტორიას. განსაკუთრებით საინტერესოა წარმოსახვით შექმნილი ზოგიერთი ის ძეგლი, რომელიც არც გვახსოვს. არადა, ოდესღაც ჩვენი დიდი ისტორიის ნაწილი იყო“, - აღნიშნა მან. **ჟურნალისტმა გოდერძი შარაშიამ** ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, თუ რამდენად ბევრს ნიშნავს ეს დღე აქ დამსწრე ადამიანებისთვის, ამ სკოლის ბავშვებისთვის, ამ გამოფენის ყველა დამთვალიერებლისთვის. თავიდანვე, როცა

დათო აფხაზეთის ტაძრების სერიის ხატვას იწყებდა, მივხვდი, განსაკუთრებული იქნებოდა, ასეც მოხდა“. თავის მხრივ ამ არაჩვეულებრივი გამოფენისათვის მადლობა გადაიხადა **გორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა პაპუნა კობახიძემ**. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ როგორც აქ ითქვა, დათოს ნახატებში ნათელი ფერები ჭარბობს, მათში მაინც იგრძნობა ის ტრაგიზმი, რაც ამ უღამაზესი კუთხის დაკარგვით არის გამოწვეული“. იქაურობას განსაკუთრებული ხიბლს სძენდა გზადაგზა წაკითხული პატრიოტული სულისკვეთების ლექსები, გორის შემოქმედებითი ახალგაზრდების მიერ შესრულებული სიმღერები და ცეკვები. აქ კიდევ ერთხელ მადლიერებით მოიხსენიეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებობის თანამშრომელი ლია ბეგლარიშვილი. ადამიანი, რომელსაც დათო ბაძალუას ნამუშევრების ამ კუთხეში წარმოჩენის იდეა გაუჩნდა და მთელ სხვაზეთან ერთად ძალისხმევა არ დაეშურა კასპსა და გორში აფხაზეთის რამდენიმე დღიანი დაბრუნებისთვის“. ბოლო სიტყვა ისევ დათოს ეკუთვნოდა, ამ გამოფენების მოწყობისა და ამგვარი გულისხმიერის სიტყვებისთვის მან მადლობა უძღვნა ყველა გულისხმიერ ადამიანს. უპირველესად კი უფალს, რომელიც შეენია, ძალა მოაქრებინა და აფხაზეთის ტაძრები ტილოებზე გადმოათანინა. კასპსა და გორში მოწყობილმა გამოფენებმა ცხადყო, რომ კულტურულ ცხოვრებას მოკლებული რეგიონები ძალიან მგრძნობიარენი არიან კულტურული ცხოვრების მიმართ და ამ მხრივ მათ გაცილებით მეტი ყურადღება სჭირდებათ. აფხაზეთის სულიერებითა და კულტურით, აფხაზეთის მონატრებით, სიყვარულით, მოგონებებით სავსე დღეები დასრულდა იმ იმედით, რომ ის საქართველოს სხვა ქალაქებშიც, განსხვავებული შტრიხებითა და ეპიზოდებით, აუცილებლად განმეორდება.

ქართული და აფხაზი ინტელიგენციის თანამშრომლობის ფორიართი ასპექტი

ირაკლი ბაღენავა,
ისტორიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ქართველი და აფხაზი ინტელიგენცია ოდითგან შეთანხმებული და თანმიმდევრული ურთიერთობითა და თანამშრომლობით გამოირჩეოდა. XIX-XX საუკუნის მიჯნაზე განსაკუთრებით გამოიკვეთა ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის ერთობლივი ძალისხმევა რევოლუციის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისათვის. ფაქტები ადასტურებენ, რომ ეს თანამშრომლობა იყო რელიეფური და მეტად შედეგიანიც.

ქართველთა და აფხაზთა თანამშრომლობა თავისუფალ-თვითმოქმედი საზოგადოებების ფუნქციონირების საქმეშიც ნათელია. ამ საზოგადოებების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო ქველმოქმედება, მაგალითად, სოხუმში შედგა „ურთიერთშორის დამხმარე საზოგადოება“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ერთ ჯგუფად გაერთიანებინა სხვადასხვა პროფესიის ადამიანი, აღმოეჩინა წევრებისა და მათი ოჯახებისათვის როგორც მატერიალური, ასევე სულიერი დახმარება, გაჭირვების დროს გაეცა სესხი.

1908 - 1911 წლებში სოხუმში უკვე ფუნქციონირებდა „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება“, „ჭლექთან მეზრძოლი საზოგადოება“, (რომლის წესდება მთავრობას 1904 წელს დაუმტკიცებია) „ქართული სასკოლო საზოგადოება“, „აფხაზეთის სასკოლო საზოგადოება“, „ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოება“ და სხვა.

რა ვითარება იყო განათლების მხრივ XX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთის მოსახლეობაში? ამაზე გარკვეულ წარმოდგენას ჩვენ მიერ მოკვლეული მასალა გვიქმნის. 1897 წლის აღწერის მონაცემებით ირკვევა, აფხაზეთში მართლმადიდებლობის აღმსარებელ მოსახლეობაში 25 758 კაცი იყო ქართველი და მათ შორის წერა-კითხვის მცოდნე 3 094 კაცი, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ კავკასიელი მთიელების იმ რაოდენობას, რომელიც მართლმადიდებლად არის გამოცხადებული. ამ დროისთვის მათი რიცხვი 49 387 კაცს შეადგენს, ხოლო მათ შორის წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა 1 277 კაცი.

ამავე მასალის მიხედვით, 1900 წელს აფხაზეთის სახალხო სკოლებში მასწავლებელთა რიცხვი აღწევდა 46-ს; მათ შორის აფხაზი იყო 3, ქართველი - 25, რუსი - 14, ესტონელი - 3 და გერმანელი - 1.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, თავიანთი მოღვაწეობით თავი გამოიჩინეს აფხაზმა, ქართველმა და სხვა ეროვნების პედაგოგებმა, მათ შორის იყვნენ თ. ეშბა, ა. ჭოჭუა, ივ. გეგია, პ. ჭარაია, თ. სახოკია, ანთ. ჯუღელი, პ. შაყრილი, ნ. ჭედია, ნ. ჯანაშია, ი. ლაქერბაია, გ. ეშბა, ნ. ქირთბაია, კ. მარშანია, გრაკვი, დ. აჯამოვი და სხვ. ისინი თადაუზოგავად, აშკარად თუ შენიღბულად, ებრძოდნენ ცარიზმის გამარჯვებულ პოლიტიკას, ამ მხრივ განსაკუთრებულად აღსანიშნავია პეტრე ჭარაის მოღვაწეობა.

პეტრე ჭარაია იყო ტიპური ქრისტიანი პედაგოგი და მოძღვარი, რომელიც ჩინებულად ფლობდა ქართულ, აფხაზურ და რუსულ ენებს. პეტრე ჭარაიას დიდი დამსახურება



მიუძღვის აფხაზური ენის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში. მან შექმნა აფხაზური ენის შესწავლის მსურველთა ჯგუფი და უფასოდ ატარებდა მათთან მეცადინეობას. ქართველთაგან აფხაზური ეთნოგრაფიის მეცნიერული შესწავლა სწორედ მან დაიწყო.

პეტრე ჭარაიამ მიზნად დაისახა რიგით სამრევლო სკოლებში პედაგოგიური მოღვაწეობა აფხაზეთის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორული მასალის მეცნიერულ შესწავლაზე დაეფუძნებინა. ეს ამოცანა მისგან მოითხოვდა უდიდეს ენთუზიაზმსა და ენერგიულ მუშაობას. მას ღრმად სწამდა ქართველი და აფხაზის ხალხის ღრმა გენეტიკური ერთობის, მიაჩნდა, რომ ორი ხალხის ძმობის ისტორიული ფესვების მეცნიერული დადგენა და მისი პოპულარიზაცია ხელს შეუშლიდა ცარიზმს დასახული მიზნის მიღწევაში - გაეთიშა და ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა ორი მოძვე ხალხი, ქართველები და აფხაზები. მისმა სამეცნიერო გამოკვლევებმა „აფხაზეთი და აფხაზი“, „მინათმფლობელობა აფხაზეთში“, „აფხაზური ენის იაფეტურ ენებთან ურ-

თიერთობის შესახებ“ პეტერბურგელი მეცნიერების ყურადღება მიიპყრო. პეტრე ჭარაიამ შეკრიბა აფხაზური ანდაზები, მიუსადაგა მათ ქართული ექვივალენტები და გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა.

აფხაზ ხალხთან სიყვარული და მეგობრობა პეტრე ჭარაიამ შეისისლბორცა ოჯახში, მამის, მღვდელ გიორგი ჭარაიასაგან, რომელმაც სრულიად უანგაროდ იშვილა და აღზარდა უპარტონო აფხაზი ყმანვილი ძიკი ინალ-იფა. პეტრე შემდგომშიც, სიდუხჭირის ჟამს, ძიკის ძმასავით ეხმარებოდა თურმე ოჯახის რჩენაში. სწორედ ამ ოჯახში აღიზარდა შემდგომში ცნობილი ისტორიკოსი, ან გარდაცვლილი შალვა ძიკის ძე ინალ-იფა და რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ამ მორღუობისა და ძმობის შებღალვა ადვილად მოახერხა რუსულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ. 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა შალვა ძიკის ძე ინალ-იფას ვაჟი ადგურ ინალ-იფა, რომელიც რუსეთის მიერ ძმათაშორის პროვოცირებულ ომში დაიღუპა.

აფხაზმა პედაგოგმა თომა ეშბამ პირველმა (მალულად) დაიწყო თავისი მოსწავლეების სწავლება მშობლიურ აფხაზურ ენაზე, რითაც თავი ხიფათში ჩაიგდო. 1897 წლიდან თომა ეშბა ლიხნის სკოლაში მუშაობს მასწავლებლად. აქ მან 9 წელი იმუშავა და დიდი სარგებლობა მოუტანა მოსახლეობას. ჩვენი ინფორმაციით, აქ მისი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით აგებულ იქნა სკოლის ახალი შენობა. ასევე მისი ინიციატივით გაიხსნა ქალთა სამონასტრო სკოლა. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი სკოლა აფხაზეთში, სადაც აფხაზ გოგონებს შეეძლოთ წერა-კითხვის შესწავლა მშობლიურ ენაზე. თომა ეშბას სამოღვაწეო არეალში მოსახლეობა ეთნიკურად შერეული იყო, მაგრამ მაინც უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ.

საყურადღებოა იოსებ ვასილის ძე ლაკირბაის მოღვაწეობა, რომელიც სოფ. ლიხნში სკოლის გამგედ მუშაობდა, ბავშვებს აფხაზურ ენას ასწავლიდა.

ნესტორ ბახვას ძე ქითბაია მასწავლებლობდა ოტობაიის ორკლასიან სასწავლებელში; მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ოტობაიის სკოლა შემდეგში გადაკეთდა უმაღლეს დანყებით სასწავლებლად. (ცნობისათვის: სოფ. ოტობაია მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული და მდებარეობს გალის რაიონში).

კონსტანტინე ვასილის ძე მარშანია მუშაობდა ტამიშის ორკლასიან სკოლაში, მისი ინიციატივით გაიხსნა სკოლები აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეში, ქართულ თუ აფხაზურ სოფლებში.

აფხაზეთში განათლებისა და კულტურის განვითარებას მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო აფხაზ მთავართა შთამომავლის, თავადის ქალ ალათი შერვაშიძის მოღვაწეობამ.

ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლები ერთობლივად მოქმედებდნენ საერთო მიზნების მისაღწევად, მაგალითად, 1909 წელს სოხუმის ოლქში სამასწავლებლო სემინარიის ან ინსტიტუტის დაარსების საკითხთან დაკავშირებით ქალაქ სოხუმის სათათბირომ და სასწავლო უწყებამ გამოყო სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა სოხუმის ზემოაღნიშნული სასწავლებლის დაარსებისათვის საჭირო გეგმა. ამ კომისიის სხდომებზე აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწე ნიკო სიმონის ძე ჯანაშია, სოხუმის სათათბიროს ხმოსანი ანთიმოზ ჯუღელი, აფხაზეთის სახალხო მასწავლებელი ა. ჭოჭუა და სხვები. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სოხუმის მთიელთა სკოლის სამასწავლებლო სემინარიად გადაკეთება.

სოხუმის ოლქში მოღვაწე ქართველი პედაგოგები ფართოდ მსჯელობდნენ აფხაზეთის ისტორიასა და მის კულტურულ-ისტორიულ კავშირზე საქართველოსთან. ასე მაგალითად, ნიკო ჯანაშიამ დაბეჭდა ეთნოგრაფიული წერილები „აფხაზები“, „აბრსკილი“, „ამირანი“, „ხალხური აფხაზური გამოცანები“ და სხვა. მრავალი საინტერესო სტატია გამოაქვეყნეს აფხაზეთის შესახებ ივანე გეგია, ანთიმოზ ჯუღელმა, თედო სახოკიამ, მარიამ დადიან-ანჩაბაძემ და სხვ.

აფხაზური სალიტერატურო ენის ფუძემდებელმა, აფხაზეთის

სახალხო პოეტმა დიმიტრი გულიამ (1874-1960 წწ.) პირველად 1907 წ. თბილისში ცალკე წიგნად გამოსცა „აფხაზური ანდაზები, გამოცანები და ენის გასატყეები“. მისი პირველი ლიტერატურული კრებული სახელწოდებით „ლექსები“ 1912 წელს ასევე გამოდის თბილისში. 1913 წელს დაიბეჭდა მისი „ჭაბუკის წერილი გოგონას“, ამ პოემამ საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ სატრფიალო ლირიკას. თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ პირველი წიგნები აფხაზურ ენაზე ქ. თბილისში ქართველების დახმარებით ისტამბება. სწორედ ეს არის ჭეშმარიტი მეგობრობა, ძმობა და თანამშრომლობა.

ცარიზმის კოლონიზატორული რელიგიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის უამრავი ფაქტია ცნობილი. ამ ბრძოლას ეწეოდნენ ღირსეულები - „მწყემსნი კეთილნი“, ღირსეული ქართველი მამულიშვილები, მაგალითად, მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე). ის შთააგონებდა აფხაზ ახალგაზრდობას, რომ აღზრდის, სწავლის, განათლების გარეშე ყველაფერი მიიღებდა უკუღმართ განვითარებას. ეპისკოპოსი გაბრიელი უდიდეს ყურადღებას უთმობდა აფხაზური ენის სრულყოფის პრობლემას. ცნობილია, რომ მან აღძრა საკითხი პირველდანყებითი ლოცვების, მრწამსის, ათი ცნების, ლიტურგიიდან და საკვირაო ბიბლიიდან სხვადასხვა ამონარიდის აფხაზურ ენაზე თარგმნის შესახებ.

ხალხთა შორის ღვთაებრივი სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის გრძნობის აღზრდას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ეპისკოპოსი კირიონი. ეპისკოპოსის ერთ-ერთი დამსახურება ისიც იყო, რომ მან ყველა ეროვნების მრევლს - ქართველებს, რუსებს, ბერძნებს - საკუთარ ენაზე ღვთისმსახურების შესაძლებლობა მისცა. აფხაზებსაც რომ ასეთივე შესაძლებლობა ჰქონოდათ, კირიონმა აფხაზეთისაგან ჩამოაყალიბა და ინტენსიურად აამუშავა აფხაზურ ენაზე საეკლესიო ლიტერატურის მთარგმნელი კომისია. აფხაზეთიდან კირიონის განვევის შემდეგ, კომისიის საქმიანობა შეჩერდა. მოგვიანებით კომისიამ კვლავ განაახლა მუშაობა, რომელიც 1913 წლამდე გერძელდა და უფლის სიტყვის აფხაზურ ენაზე თარგმნით დასრულდა (შეასრულეს დ. გულიამ, მღვდლებმა ნ. ლადარიამ, ნ. პატეიფამ და დ. მარლანამ).

ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის თანამშრომლობა განსაკუთრებით რელიეფურად წარმოჩნდა რევოლუციის კულტურული ცხოვრების ინტენსიფიკაციის საქმეში. აქ შესაძლებლობაც მეტი იყო, ადამიანები უფრო თავისუფლად მოქმედებდნენ და შედეგებიც უფრო შთამბეჭდავი ჩანდა. ცალკე საუბრის თემაა მათი თანამშრომლობა რევოლუციის სოციალ-ეკონომიკურ საკითხებში და მას მომავალში მივუბრუნდებით.

რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალა სრულად ვერ ასახავს ქართველებსა და აფხაზებს შორის თანამშრომლობის სურათს, ისტორიული სინამდვილის აღდგენას აფერხებს ის გარემოებაც, რომ 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის დროს დაიწვა აფხაზეთის ცენტრალური საისტორიო არქივი, საიდნაოც მხოლოდ უმნიშვნელო დოკუმენტები და დარჩენილი. ამიტომაც ამგვარ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ჭადოსნური დღეები

მადეა ზახბაძე

მრავალი წელია კინოცენტრი „აფხაზეთი აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებს საინტერესო პროექტებს სთავაზობს. ყველა პროექტი ინტელექტუალურ-შემეცნებითი ხასიათისაა და ხელს უწყობს მოზარდებში შრომისმოყვარეობის, ესთეტიკური გემოვნების, შემოქმედებითი აზროვნებისა და საკვლევადიებო უნარის გამომუშავებას.

აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლების მოსწავლეები კინოცენტრ „აფხაზეთის“ ორგანიზებით ხშირად სტუმრობენ საგამოფენო დარბაზებსა თუ მუზეუმებს. ატარებენ საკვლე-

მოქმედო აქციებს და მონაწილეობენ მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნაში.

გამონაკლისი არც ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეული იყო, რომელიც 31 მაისს დაიწყო. ბავშვთა გასართობი ცენტრი „ბაო-ბაბი“ უკვე მრავალი წელია მასპინძლობს აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ მოზარდებს. ტრადიციად ქცეულ ზეიმს აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლების 45 მოზარდი დაესწრო. აქციის „ნაყინების თაიფული ბავშვებს“ ფარგლებში კომპანია „გურჯანის ნაყინი“ (დირექტორი გურამ ბერიკაშვილი) ყველა მოზარდს ნაყინით გაუმასპინძლდა.

იმავ დღეს ღონისძიება გაგრძელდა რუსთაველის გამ-

ზირზე. კინოცენტრი „აფხაზეთის“ ორგანიზებით საქართველოს მხატვართა კავშირის ინიციატივით მოწყობილ გამოფენაში „მე მიყვარს ხატვა“, მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი-1“-ის სამხატვრო განყოფილების მოსწავლეებმა (დირექტორი - თამარ ახალაია)

გამოფენა - აქციის ფარგლებში ბავშვებისათვის მოეწყო მასტერკლასები. მოზარდებმა იქვე დახატეს და გამოფინეს საკუთარი ნახატები.

2 ივნისი. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ანსამბლმა „გვირილამ“ (ხელმძღვანელი ერნა ნიფურიძე), რომელმაც ოცნლიანი არსებობის განმავლობაში უამრავ დევნილ ბავშვს შეაყვარა მუსიკა, აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლების 60 მოზარდი საქველმოქმედო ფესტივალზე დაპატიჟა.

6 ივნისს აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლების მოსწავლეები ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის (დირექტორი გიორგი უშუკიშვილი) საგამოფენო დარბაზს ეწვივნენ და ქართული, უკრაინული და ჩეხური ხელნაკეთი თოჯინების გამოფენა დაათვალიერეს. აქ გამოფენილი იყო უკრაინელი, ჩეხი და 43 ქართველი ოსტატი - მეთოჯინის 140-მდე ნამუშევარი. ძალზე საინტერესო იყო ჩეხი მეთოჯინეების ნამუშევრები. ცვილის, თიხის, რბილი ეთნოგრაფიული და გონჯა მაირონეტებმა და ორიგინალური ჟანრის თოჯინებმა ბავშვების დიდი ინტერესი გამოიწვია.

7 ივნისი - ფოლკლორის ცენტრის მცირე საგამოფენო დარბაზში აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლების 30 - მდე ბავშვებისათვის ჩეხმა მეთოჯინეებმა მასტერკლასი ჩაატარეს.

ლეილა ბაღბაია (პროექტის ორგანიზატორი): კინოცენტრი ყველაფერს აკეთებს დევნილი მოზარდებისთვის. ჩვენი ყოველი პროექტი მიმართულია იქითკენ, რომ აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა მათზე, მათ იმედინამოვალზე ზრუნვა იგრძნონ.

ლეილა თორია (პროექტის ორგანიზატორი): „ჩვენი ყოველი სამუშაო დღე იწყება და მთავრდება დევნილ მოზარდებზე ფიქრით. ვეძებთ გზებს მათ საკეთილდღეოდ და ამისთვის ძალისხმევას არ ვიშურებთ. დასრულდა ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეული. კვირეულის ორგანიზატორები დიდ მადლობას უხდიან „გურჯანის ნაყინს“, „ბაო-ბაბს“, ანსამბლ „გვირილას“, საქართველოს მხატვართა კავშირსა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს დევნილი ბავშვებისათვის მინიჭებული სიხარულისათვის დაღამაზი, ჯადოსნური დღეებისთვის.



საჩუქარი აფხაზეთის მოზარდებს

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ახალგაზრდული დეპარტამენტის ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარების პროგრამის ფარგლებში ა.ა.ი.პ ხელოვნების სკოლა აფხაზეთი №2-ის ხალხური საკრავების ანსამბლს მუსიკალური ინსტრუმენტები აჩუქა.

ა.ა.ი.პ ხელოვნების სკოლა აფხაზეთი №2-ის მოსწავლეები და მუსიკალური ანსამბლის ხელმძღვანელები სამინისტროს ეწვივნენ, მათ ინსტრუმენტები მინისტრის პირველმა

მოადგილემ ზურაბ აზმაიფარაშვილმა გადასცა.

შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი ალექსანდრე აპლაკოვი და მისი პირველი მოადგილე მანანა ქვაჩაია. მოსწავლეებმა რამდენიმე ქართული ხალხური მუსიკალური ნაწარმოები შესრულეს. ანსამბლის ხელმძღვანელებმა მადლობა გადაუხადეს სამინისტროების წარმომადგენლებს და სამომავლო თანამშრომლობისა და სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს.

„მინისტრიალი 2013“-ის გამარჯვებულია აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო



დასრულდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებული ყოველწლიური შეჯიბრი „მინისტრიალი-2013“, რომელიც სპორტის 3 სახეობაში (ნარდი, ჭადრაკი და მინი-ფეხბურთი) იმართება. შეჯიბრში მონაწილეობდნენ აფხაზეთის მთავრობის წევრებისგან დაკომპლექტებული გუნდი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გუნდი და აფხაზეთის სამინისტროების გუნდები. გამარჯვებულები თავებით და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

შეჯიბრის შედეგები ასე გამოიყურება: **ჭადრაკი** მამაკაცებს შორის ადგილები ასე გადანაწილდა: I - დავით ზაქარაია (აფხაზეთის განსაკუთრებულ დავალებათა სამინისტრო), II-გურამ მაღლაკელიძე (აფხაზეთის უმაღლესი საბჭო), III - გიგლა ძანძავე (აფხაზეთის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი). ქალებს შორის: I - თეა იაშვილი (აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრო), II - როზა ცინდელიანი (აფხაზეთის

უმაღლესი საბჭო), III - ქეთი თოდუა (აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო).

ნარდი მამაკაცებს შორის ადგილები ასე გამოიყურება: I - დავით შალამბერიძე (აფხაზეთის დევნილთა დეპარტამენტი), II - ბესარიონ დანელია (აფხაზეთის უმაღლესი საბჭო), III- თამაზ მიქაია (აფხაზეთის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი).

ქალებს შორის: I - ქეთი თოდუა (აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო), II - ნინო გოგოხია (აფხაზეთის დევნილთა დეპარტამენტი), III - თეა ფირცხელავა (აფხაზეთის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი). **ფეხბურთი** I - აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, II - რეგიონალური მართვის დეპარტამენტი, III - აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა.

აფხაზეთის დია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, გაიმართა აფხაზეთის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 1998-2000 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის 14 წონით კატეგორიაში.

შეჯიბრში მონაწილეობდა 300 სპორტსმენი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდებიდან. აფხაზეთის ღია პირველობის მიზანია თავისუფალი ჭიდაობის პოპულარიზაცია და პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა.

გამოვლინდნენ წლევიანდელი შეჯიბრის გამარჯვებულები და პრიზორები, შესაბამისი ხარისხის თასები, მედლები, დიპლომები, ადგილების მიხედვით, ასე გადანაწილდა.

26 კგ. წონითი კატეგორია: I - მაგამედ მაგომედოვი (ყვარელი), II - იგორ აფციაური (ო.მ.ც.), III - გიორგი გოგრიჭიანი (ამბროლაური), ალექსანდრე ხოჭოიანი (ქობულეთი).

29 კგ. წონითი კატეგორია: I - გიორგი ნათობაძე (რუსთავი), II - ნიკა მახარაძე (ქობულეთი), III - დავით გოგინაშვილი (ხაშური), შამილ გაჯიევი (ყვარელი).

32 კგ.წონითი კატეგორია: I - თორნიკე ქათამაძე (ქობულეთი), II - თამაზ შავაძე (ქობულეთი), III - გიორგი სურმანიძე (ქობულეთი), ნიკოლოზ გოგრიჭიანი (ამბროლაური).

35 კგ.წონითი კატეგორია: I - გიორგი ელბაძიძე (ამბროლაური), II - ონისე დეკანოიძე (დიღომი), III - ბექა შერაზადაშვილი (რუსთავი), გიგი ბლიაძე (ხაშური).

38 კგ.წონითი კატეგორია: I - ვლადიმერ გამყრელიძე (ამბროლაური), II - ლაშა ჩახაბაშვილი (საგარეჯო), III - გოგა გობე-

ჯიშვილი (რუსთავი), გიორგი ლონიაშვილი (თბილისი).

42 კგ. წონითი კატეგორია: I - ვასილ მამულაშვილი (თბილისი, მარტვი), II - დანიელ მარქარაშვილი (კასპი), III - დავით მარქარაშვილი (კასპი), ჯაბა მაისურაძე (რუსთავი).

46 კგ. წონითი კატეგორია: I - ალექო გოდელაშვილი (ხაშური), II - გიორგი ღვინიაიძე (დიღომი), III - თემურ განჯერელია (რუსთავი), გიორგი ნიკლაური (კასპი).

50 კგ. წონითი კატეგორია: I - გოგა მამიაური (ო.მ.ც.), II - რომა აფციაური (ო.მ.ც.), III - გიორგი ბურჯანაძე (საგარეჯო), მიხეილ ბოჭორიძე (საგარეჯო).

54 კგ. წონითი კატეგორია: I - თორნიკე კვინიკაძე (ხაშური), II - ნოდარ ბინაძე (რუსთავი), III - მალხაზ ლევანიშვილი (თბილისი), ალიკო ელიაშვილი (თბილისი, ცერცვაძის კლუბი).

58 კგ. წონითი კატეგორია: I - ალექსი ბეიტრიშვილი (თბილისი, ვარკეთილი), II.- საათ კოსიანი (ახალქალაქი), III.- ლევან ხარსილაძე, ევგენი შველიძე (ორივე ხაშური).

63 კგ. წონითი კატეგორია: I.- მიქელაშვილი ცოტნე (ხაშური), II.- იალჩი-ნი ხალანდაროვი (მარნეული), III.- გიორგი შერვაშიძე (რუსთავი), გრიშა ოგანესიანი (ახალქალაქი).

69 კგ. წონითი კატეგორია: I.- დავით გერმანოშაშვილი (თბილისი, მარტვი), II.- ბექა ჭელიძე (აფხაზეთი), III.- შალვა დონაძე (ამბროლაური), მექი სა-ნიკიძე (ქობულეთი).

სარიიდან - „აფხაზეთის მხატვრები“

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით, აფხაზეთის მხატვრების - რამინ აფაქიძის, ელდარ ქავშაიას, დავით მარკოზიასა და ირმა გელანტიას ნამუშევრების პერსონალური კატალოგები გამოსცა. კატალოგები მხატვრების შემოქმედების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას, მათ პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ასევე გამოიცა საქართველოს დამსახურებული მხატვრისა და აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ან გარდაცვლილი ჭოლა კუკულაძის ალბომი, რომელიც აფხაზეთის ქარ-ცეცხლს გადარჩენილ მის ნამუშევრებსა და თანამედროვეთა მოგონებებს შეიცავს.



რამინ აფაქიძე როგორც მხატვარი, აფხაზეთში შედგა. შემოქმედებითი წვაც პირველად იქ განიცადა, სიყვარული ბუნების სილამაზისა იქ, აფხაზეთში იგრძნო. ის მიიჩნევს, რომ მოღვაწეობის ოქროს ხანა აფხაზეთში დატოვა, დატოვა საინტერესო ტილოები, სერიები, რომლებიც უკვე იქაურების საკუთრებაა. დასანანია, რომ მისი სოხუმში დარჩენილი შემოქმედება მიუწვდომელია ახალი თაობისთვის. თუმცა მხატვარმა დევნილობის წლებში შექმნა არანაკლებ საინტერესო, ღრმა შინაარსით გაჯერებული ფერწერული ტილოები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მხატვრის მიერ აღქმულ სამყაროზე. წლეულს მხატვარ რამინ აფაქიძეს 75 წელი შეუსრულდა. ის ნათელი მაგალითია მხატვრისა, რომელიც მუდამ ძიებაშია და ყოველთვის განახლებადი შემოქმედებით წარუდგება დამთვალიერებელს.

ქრისტინე მამასახლისი

ელდარ ქავშაიას, როგორც გამორჩეული ხელნერის მქონე მხატვარს, საკუთარი ადგილი უკავია 90-იანი წლების ხელოვანთა შორის. მისი ფერწერა ორიენტირებულია ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე, წარუვალ ფასეულობებსა და იდეალებზე. მხატვარი უგულბებლყოფს აშკარა პუბლიცისტურ პათოსს და საკუთარ მიმართებებს ავლენს უფრო სიმბოლურ -პრევენტაციებში, რომელიც კონკრეტულ ასოციაციებს აღძრავს.

ელდარ ქავშაიას შემოქმედებაში თავისებურ ასახვას პოულობს სამყაროს უსასრულო ცვალებადობა, მითიური ასოციაციები, ჭეშმარიტებასთან მიახლების ზეანეული განწყო-



როს მისეულ აღქმას. სამყაროსი, რომელიც განიხილება, როგორც ერთიანი, ცოცხალი არსება. მიუხედავად იმისა, რას ხატავდა ჭოლა კუკულაძე - ადამიანს, ზღვას, თუ ძალს, მისთვის ყოველივე, თავისი ხასიათით, გარეგნობით თუ სხვა რამ მახასიათებლებით, ერთი მთლიანის შემადგენელი იყო. ამგვარი დამოკიდებულება ძალზე ახლოა ვაჟასეულ ფილოსოფიასთან.

განურჩევლად იმისა, თუ რა არის მისი ასახვის ობიექტი, მისი დამოკიდებულება იმგვარია, როგორიც უნდა იყოს პორტრეტის შექმნისას, როდესაც მხატვარი ცდილობს გარეგნული მახასიათებლების მიღმა დაინახოს და გადმოგვცეს ამ კონკრეტული ადამიანის არსობრივი განზოგადებული ხატი.

მანანა გიგიბერია, ხელოვნებათმცოდნე.



ბილებები, მარადიული ფასეულობები. ამასთანავე, მხატვარი გვერდს ვერ უვლის კონკრეტულ მტკივნეულ თემას - მშობლიურ აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას, რომელსაც ზოგადსაკაცობრიულ კონტექსტში განიხილავს და დღევანდელი გაუცხოების აშკარა გამოვლენად მიიჩნევს.

ინგა ქარაია, ხელოვნებათმცოდნე.

ჭოლა კუკულაძე არაორდინალური, მრავალმხრივი ინტერესების ხელოვანია. მან შექმნა მთელი გალერეა ნამუშევრებისა, რომლებიც გამორჩეულია, არა მარტო ავტორისეული ხელნერით, არამედ ნათლად წარმოაჩენს მხატვრის პიროვნულ, მოქალაქეობრივ პოზიციას, სამყა-

ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ გამარჯვებული

აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ გაზაფხულის სეზონის ფინალური შეხვედრა გაიმართა.

კოდორის ხეობის გუნდის ბრწყინვალე ექვსეულმა მეტოქეები თანაბარ ბრძოლაში დაამარცხა და გაზაფხულის სეზონის ყველა-

ზე ინტელექტუალური გუნდის სახელი მოიპოვა. გამარჯვებულებს თამაშის სიმბოლო გარდამავალი „ბუ“ შარშანდელი სეზონის გამარჯვებული გუნდის „უტოპია“ კაპიტანმა გადასცა. გუნდის წევრებს კი დიპლომები და მსოფლიო ისტორიის წიგნები დაურიგდათ. ფინალში აფხაზეთის №1, №7, №10, №11, №12 საჯარო სკოლების და კოდორის ხეობის გუნდი მონაწილეობდა.



აფხაზეთის ღია ჩემპიონატი ჭოგარდობაში

აფხაზეთის ღია ჩემპიონატი ჭოგარდობაში დასრულდა. ტურნირი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩითახევის პესთან საქართველოს ჭოგარდობის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა და მასში 16-მდე გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის, ქართველებთან ერთად იყვნენ აფხაზები, ჩეჩნები, აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები და ფერეიდნელები.

პირველი და მეორე ადგილის მფლობელები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები გახდნენ. მესამე ადგილი თბილისის ზღვის დევნილების კომპაქტური ჩასახლების გუნდმა „დიოსკურიაში“ მოიპოვა.

საპრიზო ადგილებზე გასულ მონაწილეებსა და გუნდებს თასები და სიგელები გადაეცათ.

აფხაზეთის ღია ჩემპიონატი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით ჩატარდა.

ტურნირის პარტნიორები იყვნენ ენერგე-

ტიკული სასმელების კომპანია „Speeds“ და ნატურალური მინერალური წყალი „სნო“.

ჩემპიონატის ჩატარების მიზანი ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება, სპორტის შედარებით ახალი და ექსტრემალური სახეობის პოპულარიზაცია იყო.

